სპორტული ჟურნალი

№10 დეკემბერი, 2000 ფასი 2 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩუქარი

3 **გიორგი დარჯანია**
ბიანკი ბოკას. ბოკას ტოიოტა
კონტინენტთა შორის გამარჯვებულის ამბავი

4 **გიორგი დარჯანია**
ლიგა ცხრილებსა და კალათებში
საშემოდგომო უცნაურობანი

8 **სოლომონ გულისაშვილი**
მარტოფულობა
რა ქნეს ჩვენებმა? — კითხულობს ქართველი

10 **პაატა კვანტალიანი**
ადამიანები და კარტოფილები
ამბავი ზურაბ ხიზანიშვილისა, რომელიც რატომღაც თბილისშია

11 **მამუკა კვანტალიანი**
ერთი იმედი და წარსულის რეალობა
საქართველოს ნაკრები თვეების მიხედვით

16 **გიო ახვლედიანი**
ღმერთის ხელა კაცის სიბერე
დიეგო მეფე არასდროს ყოფილა

18 **პაპუნა კედია**
მოსამართლე და მოწყალე
ვიდეომსაჯი, მეორე მსაჯი თუ უბრალოდ კარგი მსაჯი?

20 **მერაბ რატიშვილი**
ამოყირავებული ნოემბერი
რა ხდება NBA-ში

22 **ირაკლი გამყრელიძე**
ვინღა დარჩა?
„შეიქმება ტაისონი, ნამდვილია ეს...“

24 **გია ახალაძე**
ზოგჯერ ჩიტიც მკვლელია
ავტოსპორტის ტრაგიკული მხარე

25 **სხვადასხვა**

REUTERS

14-15 გვერდი
გაბრიელ ომარ ბატისტუტა (არგენტინა, რომა)

გარეკანზე
I ხუან რომან რიკელმე (ბოკა ხუნიორსი) და რობერტო კარლოსი (რეალი) ტოკიო 28.11.2000
II მარტინ პალერმო (ბოკა ხუნიორსი)
III შტეფი გრაფი
IV თბილისის „დინამო“. 3.12.2000

რედაქტორი ილია გაგუნაშვილი
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი დავით ნადირაშვილი
ოპერატორი ნინო ყუფუნია

მრჩეველთა საბჭო: ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, ზურაბ მიქელაძე, ზურაბ ფოცხვერია

ვაზეთ-ჟურნალ „სარბიელის“ დამატება

რეკლამა ჟურნალ «სარბიელში» — 93 16 08

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიანკი ბოკას, ბოკას ტოიოტა

REUTERS

ზეიმობენ... და... ეს თასი ბუენოს აირესში ჩავა

ლუიშ ფიგუ (№10) იმედთან ერთად დაენარცხა

REUTERS

გიორგი დარჯანია

„ტოიოტამ“ მატჩამდე ორი დღით ადრე „ბოკა ხუნიორსისა“ და „რეალის“ პრეზიდენტები საზეიმო სადილზე მიიწვია. სადილი მართლაც საზეიმო გახლდათ — მეგობრული ღიმილი, სასიამოვნო საუბარი, ერთმანეთისთვის ზეგინდელ შეხვედრაში წარმატების სურვება...

ამ შეხვედრამდე კი პრეზიდენტები ასე მივიდნენ: კრიზისში მყოფ „ბოკას“ მილიონერი ბიზნესმენი მაურისიო მარსი საუკეთესო მწვრთნელს დაჰპირდა და ამისთვის ის პრეზიდენტად აირჩიეს. მარსიმ „ველეჟ სარსფილდიდან“ კარლოს ბიანკი გადაიბირა, რომელმაც მოკრძალებულ გუნდს ლიბერტადორესისა და საკონტინენტთაშორისო თასები მოაგებინა. გასულ ზაფხულს ასევე მილიონერი ბიზნესმენი ფლორენტინო პერესი ვალებში ჩაფლულ „რეალს“ ფულის ნაცვლად ლუიშ ფიგუს დაჰპირდა და ისიც პრეზიდენტად აირჩიეს.

კარლოს ბიანკის იშვიათი იღბალი ჰქონია — ლიბერტადორესის თასის ფინალში ორჯერ მოიგო საფეხბურთო ლატარეად წოდებული პენალტების სერია. მან ჯერ „ველეჟს“ „სან პაულუ“ დაამარცხებინა, ხოლო „ბოკას“ „პალმეირასი“. შესაბამისად, ბიანკი ორჯერ გაუძღვა გუნდებს ტოკიოსკენ და ორჯერვე დასცა ევროპული გრანდები — „მილანი“ და „რეალი“. ფიგუ კი... თითქოს რა კარგ დროს გადავიდა „რეალში“, მზამზარეულად მიიღო მონაკოში ევროპის სუპერთასისთვის, ხოლო ტოკიოში ტოიოტას თასისთვის ბრძოლის უფლება, მაგრამ „გალათასარაისთანაც“ წააგო და „ბოკასთანაც“.

მატჩის წინა დღეს „ბოკას“ ვარჯიშზე მისულ „რეალის“ ემისარს ასეთი სურათი დახვდა: მაურისიო მარსს (სხვათა შორის, პერესზე ასაკოვანია) სპორტული ფორმა ჩაეცვა და მეკარე ოსკარ კორდობას ბომბავდა. საერთოდ კი ცნობილია, რომ სამხრეთამერიკელები ბევრად უფრო სერიოზულად უდგებიან ამ მატჩს. ცხადია, ეს როდი ნიშნავს, თითქოს მადრიდელებს თავი არ შეუწუხებიათ ვარჯიშით, მაგრამ ისინი მაინც შესამჩნევად უდარდელად გამოიყურებოდნენ — ვარჯიშების შემდეგ რობერტო კარლოსი თანაგუნდელებს ვიდეოკამერით დასდევდა და სახალისო კადრებს იღებდა, მერე კი ტელევიზორს უსხდნენ და იცინოდნენ.

მატჩის შემდეგ არგენტინელები იცინოდნენ. მარტინ პალერმომ „რეალის“ მაისურა გადაიცვა და ხარიხაზე აბობღდა — იმ ხარიხაზე რომლის ქვეშაც ორჯერ შეაგდო ბურთი, ხოლო ხუან რიკელმე თვით დიეგო არმანდოსგან იღებდა სატელეფონო მილოცვას. სამაგიეროდ ფიგუმ ლამის ატირებულმა დატოვა მინდორი.

გაიხარა არგენტინის პრეზიდენტმაც — გაჭირვებულმა ქვეყანამ (საქართველოს არ ვადარებთ) პრობლემები ცოტა ხნით დაივიწყა. ესპანეთის პრემიერ-მინისტრს კი მარცხი დიდად არ განუცდია — ესპანელებს მაინცდამაინც არ უჭირთ და ზემოთაც ხომ ვთქვით, ტოიოტას თასი იქ ნაკლებ პრესტიჟული ჯილდოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიგა ცხრილებსა და კალათებში

REUTERS

ბაიერნი - ლიონი 1:0. გერმანელი ალექსანდრ ციპლერი ფრანგთა მეკარე გრეგორ კუპეს გადაფრინდა

გიორგი დარჯანია

ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის მატჩებიც დაიწყო, რომელსაც წინ 32 გუნდის თექვსმეტამდე შემცირება და წილისყრა უძღვოდა. თანმიმდევრობით მოვყვეთ.

ცხადია, „შტურმისა“ თუ „პანათინაიკოსის“ თამაშების ცქერას „იუვენტუსისა“ და „ბარსელონასი“ გვერჩივნა, რადგან პირველი ეტაპიდან ზოგიერთი მატჩი გამორჩეულად თუ მოგვეწონა, უპირველესად „ბარსას“ მონაწილეობით, ხოლო რაც შეეხება ტურინელებს, საკმაოდ უსახური თამაშის მიუხედავად, „იუვენტუსი“ მაინც განსაკუთრებულად ჟღერს.

პირველი ეტაპის მთავარი მოულოდნელობა ამ გუნდების გავარდნა იყო, მაგრამ უცნაურობები ამით არ შემოიფარგლება. საბოლოო ცხრილებს გადავხედოთ. „შტურმი“ და „გალათასარაი“ ჯგუფიდან ბურთების უარყოფითი შეფარდებით გავიდნენ და იქ დადებითბალანსიანი „რეინჯერსი“ და „მონაკო“ ჩატოვეს. „ანდერლეხტმა“ ექვს მატჩში 14 გოლი გაუშვა, „ოლიმპიაკოსმა“ — ოდენ ხუთი, მაგრამ მეორე ეტაპზე ამოჰყვეს თავი. გატანილი გოლებიც დავითვალოთ. „დეპორტივოს“ ჯგუფში პირველი ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილის დასაკავებლად ექვსი გოლიც ეყო, ხოლო 13-გოლიან „მონაკოს“ უეფას თასზე გადაბარგებაც არ ეღირსა. ან იმაზე რა ვთქვათ, რომ „გალათასარაი“ თავისი რვა ქულით ლიგაში დარჩა, ორი ცხრაქულიანი კი („ოლიმპიაკოსი“ და „პსვ ეინდჰოვენი“) ლიგის მიღმა. ანდა, მეტი უცნაურობა რა უნდა იყოს, რომ „შტურმი“ ორ თამაშს 0:5 აგებს და ჯგუფში პირველია.

ახლა საკითხს სხვა მხრიდანაც მივუდგეთ. პირველ კალათაში განთესილები, ანუ აშკარა ფავორიტები ჯგუფიდან თითქოს უპრობლემოდ უნდა გასულიყვნენ. პირველ ეტაპზე სხვებთან ერთად ასეთები იყვნენ „ბარსელონა“, „იუვენტუსი“ და „მონაკო“, რომელთაგან ორმა უეფას თასზეც ვერ გადაინაცვლა, სამაგიეროდ, მეოთხე კალათიდან, ანუ აუტსაიდერებად მიჩნეულთაგან „შტურმმა“ და „ანდერლეხტმა“ თავიანთ ჯგუფებში გაიმარჯვეს. გარდა ამისა, აუტსაიდერმა „ჰერენვენმა“ მოუგო და ჯგუფში ჩატოვა „ოლიმპიაკოსი“, ასევე მეოთხეკალათელ „ჰამბურგთან“ დაკარგულმა ხუთმა ქულამ შეიწირა „იუვენტუსი“, ხოლო „ბარსელონასთვის“ „ბეშიქთაშთან“ მარცხი გამოდგა საბედისწერო.

გუნდების კალათებად დაყოფა მეორე ეტაპის წილისყრასაც უძღვოდა. ჯგუფებში გამარჯვებულები პირველ და მეორე კალათებში მოხვდნენ, მეორეადგილოსნები — უფრო ქვევით. ამიტომაც განთესვისას „შტურმი“ და „ანდერლეხტი“ უფრო მაღლა აღმოჩნდნენ, ვიდრე „მანჩესტერი“ და „ლაციო“. უშუალოდ წილისყრაზე კი ის შეგვიძლია ვთქვათ, რაც აქამდეც ბევრჯერ თქმულა — განთესვა თანაბარი ძალის ჯგუფების შექმნას ვერ უზრუნველყოფს და თუნდაც ერთი „სიკვდილის ჯგუფი“ აუცილებლად გამოერევა ხოლმე.

ამ ეტაპზე ასეთად D ჯგუფი უნდა მივიჩნიოთ. რაღაც საოცარი უიღბლობა სჭირს „ლიდსს“, ჯერ „მილანი“ და „ბარსელონა“ ერგო მეტოქეებად, ახლა კიდევ „ლაციო“ და „რეალი“. სხვა ჯგუფებში თითქოს უფრო მარტივი სურათია: ერთგან „ვალენსია“ და „მანჩესტერი“ არიან აშკარა ფავორიტები, მეორეგან „არსენალი“ და „ბაიერნი“, A ჯგუფში კი ასეთი „მილანია“ და მეორეადგილოსნობის შანსი სამ სხვა გუნდსაც აქვს. ოღონდ, ყველაფერი ეს მხოლოდ ვარაუდია და მეტი არაფერი — თავის დროზე „იუვენტუსიც“ ფავორიტი გახლდათ. აქვე აღვნიშნოთ, რომ გუნდების ფავორიტებად და აუტსაიდერებად დაყოფისას მეორე ეტაპის უკვე გამართული მატჩების შედეგებს არ ვითვალისწინებთ, რადგან პირველი ეტაპის პირველ ტურში „ბარსელონამ“ „ლიდსს“ 4:0, ხოლო „რეინჯერსმა“ „შტურმს“ 5:0 მოუგო და საბოლოოდ რაც მოხდა, უკვე ვთქვით.

ამასთანავე გასათვალისწინებელია მეორე ჯგუფური ეტაპის სპეციფიკაც: ის ძალიან გაწელილია დროში, იწყება ნოემბერში და მთავრდება მარტში, გაზაფხულამდე კი ძალთა თანაფარდობა შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, ცნობილია, რომ „სპარტაკი“ შემოდგომაზე ტრადიციულად კარგად თამაშობს, ხოლო გაზაფხულზე უჭირს.

და მაინც, მეორე ეტაპის პირველი ტური რამდენადმე მოულოდნელი გამოდგა. „ლაციო“ დამარცხდა „ანდერლეხტთან“, ხოლო „მილანი“ შინ „გალათასარაისთან“ ძლივს გამორჩა ერთ ქულას. „არსენალის“ მოსკოვში განადგურებას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს — შემოდგომის „სპარტაკზე“ უკვე ვთქვით და დავუმატოთ, რომ აფრიკელი ნვანკვო კანუ სპარტაკელებზე მეტად რუსულ ყინვას ებრძოდა. „ბაიერნისგან“ „ლიონის“, „ვალენსიასგან“ „შტურმის“ და „მანჩესტერისგან“ „პანათინაიკოსის“ ძლევა სრულიად ჩვეულებრივი ამბავია. არც „ლიდსის“ დამარცხება უნდა იყოს მოულოდნელი — ყმაწვილმა ლიდსელებმა წინა ეტაპზე „მილანს“ და „ბარსელონას“ შვიდი ქულა დააკარგვინეს და ოდესღაც ხომ უნდა გაეჩერებინა ვინმეს.

ისე, კარგიცაა „მილანმა“ და „ლაციომ“ რომ წაიფორხილეს — აბა, ის ჯობდა ჯგუფიდან გასვლა ოთხი ტურის მერე რომ გაენაღდებინათ? ახლა ბრძოლის ბოლომდე გაგრძელებას უნდა ველოდოთ, რაც უფრო საინტერესოა.

ლიდსი და ესპანელები: ინგლისელებმა (თეთრ ფორმაში) ვერც „ბარსელონას“ აჯობეს და ვერც „რეალს“

REUTERS

REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

A ჯგუფი

პანათინაიკოსი
ათენი, საბერძნეთი

მილანი
იტალია

შტურმი
გრაცი, ავსტრია

მანჩესტერი
ინგლისი

I ტური. 21 ნოემბერი, 2000
ვალენსია 2:0 შტურმი
მანჩესტერი 3:1 პანათინაიკოსი

II ტური. 6 დეკემბერი, 2000
პანათინაიკოსი — ვალენსია
შტურმი — მანჩესტერი

III ტური. 14 თებერვალი, 2001
შტურმი — პანათინაიკოსი
ვალენსია — მანჩესტერი

IV ტური. 20 თებერვალი, 2001
პანათინაიკოსი — შტურმი
მანჩესტერი — ვალენსია

V ტური. 7 მარტი, 2001
შტურმი — ვალენსია
პანათინაიკოსი — მანჩესტერი

VI ტური. 13 მარტი, 2001
ვალენსია — პანათინაიკოსი
მანჩესტერი — შტურმი

B ჯგუფი

დეპორტივო
ლა კორუნია, ესპანეთი

ვალენსია
ესპანეთი

გალათასარაი
სტამბოლი, თურქეთი

პარი სენ ჟერმენი
პარიზი, საფრანგეთი

I ტური. 21 ნოემბერი, 2000
მილანი 2:2 გალათასარაი
პარი სენ ჟერმენი 1:3 დეპორტივო

II ტური. 6 დეკემბერი, 2000
დეპორტივო — მილანი
გალათასარაი — პარი სენ ჟერმენი

III ტური. 14 თებერვალი, 2001
გალათასარაი — დეპორტივო
მილანი — პარი სენ ჟერმენი

IV ტური. 20 თებერვალი, 2001
დეპორტივო — გალათასარაი
პარი სენ ჟერმენი — მილანი

V ტური. 7 მარტი, 2001
გალათასარაი — მილანი
დეპორტივო — პარი სენ ჟერმენი

VI ტური. 13 მარტი, 2001
მილანი — დეპორტივო
პარი სენ ჟერმენი — გალათასარაი

C ჯგუფი

არსენალი
ლონდონი, ინგლისი

ბაიერნი
მიუნხენი, გერმანია

ლიონი
საფრანგეთი

სპარტაკი
მოსკოვი, რუსეთი

I ტური. 22 ნოემბერი, 2000
ბაიერნი 1:0 ლიონი
სპარტაკი 4:1 არსენალი

II ტური. 5 დეკემბერი, 2000
არსენალი — ბაიერნი
ლიონი — სპარტაკი

III ტური. 13 თებერვალი, 2001
ლიონი — არსენალი
ბაიერნი — სპარტაკი

IV ტური. 21 თებერვალი, 2001
არსენალი — ლიონი
სპარტაკი — ბაიერნი

V ტური. 6 მარტი, 2001
ლიონი — ბაიერნი
არსენალი — სპარტაკი

VI ტური. 14 მარტი, 2001
ბაიერნი — არსენალი
სპარტაკი — ლიონი

D ჯგუფი

ლაციო
რომი, იტალია

ლიდს იუნაიტედი
ინგლისი

რეალი
მადრიდი, ესპანეთი

ანდერლეხტი
ბრიუსელი, ბელგია

I ტური. 22 ნოემბერი, 2000
ლიდსი 0:1 რეალი
ანდერლეხტი 1:0 ლაციო

II ტური. 5 დეკემბერი, 2000
ლაციო — ლიდსი
რეალი — ანდერლეხტი

III ტური. 13 თებერვალი, 2001
რეალი — ლაციო
ლიდსი — ანდერლეხტი

IV ტური. 21 თებერვალი, 2001
ლაციო — რეალი
ანდერლეხტი — ლიდსი

V ტური. 6 მარტი, 2001
რეალი — ლიდსი
ლაციო — ანდერლეხტი

IV ტური. 14 მარტი, 2001
ლიდსი — ლაციო
ანდერლეხტი — რეალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტოფულობა

ალბერსავლეთის ხალხთა სახალი

REUTERS

როცა ჯამარაული ხასიათზეა, „ციურიხი" იგებს

სოლომონ გულისაშვილი

ჯერ იყო „აინტრახტი" და „ლე ავრი". მერე „სიტი", „ტრაბზონი", „აიაქსი", „ნიუკასლი"... ვინ მოთვლის, საწყალ ქართველ გულშემატკივარს ვისთვის აღარ უქომაგია.

დღეს ცხოვრებისგან გაბოროტებული ქართველი მოქალაქე დაიჩივლებს: რა დაგვემართა, ყველაზე ცუდები და უნამუსოები ვყოფილვართო. მეორე წუთში კი იკითხავს: გიომ რა ჰქნა, კობიმ, ჯამარამ?.. იკითხავს იმიტომ, რომ თავისიანის ამბავი სხვებზე მეტად აინტერესებს და ევროპაში თუ რაღაცას ახერხებენ, ეგებ ნაკრებსაც ეშველოსო — ფიქრობს. გამოდის, პატივცემული მოქალაქის მიერ სამშობლოს მიმართ ნათქვამი სალანძღავი სიტყვები ბოღმისა უფროა, ვიდრე გონებისა. გულის სიღრმეში კი: „ფრაიბურგს" მოუგია, აფსუს, როგორ გავარდა ლიგიდან კიევი და ასე გაუთავებლად.

ლეგიონერების თემა ჩვენთვის მნიშვნელოვანი და სათუთი, თანაც, შედარებით ახალი ხილია. იუგოსლავიელებს კი ამ მხრივ მსოფლიოში ცოტა თუ გაუტოლდება. აი, რას ამბობს ცნობილი მწვრთნელი მილიან მილიანიჩი: „პროფესიონალიზმი 1966 წელს შემოვიღეთ და ფეხბურთელების საზღვარგარეთ წასვლაც ნებადართული გახდა. პირველები, ვინც წავიდნენ, მხოლოდ ფულზე ფიქრობდნენ. მაგრამ ამ ბავშვურმა ავადმყოფობამ კარგა ხანია გაიარა. დღეს ჩვენი მოთამაშეები ნამდვილი პროფესიონალები არიან".

ქართველები ამ გზის დასაწყისში ვდგავართ. ახლა ყალიბდება ფეხბურთელების, მწვრთნელების, ჩინოვნიკების, ქომაგებისა და ჟურნალისტების ახლებური მენტალიტეტი, ისეთი აზროვნება თუ ჩვევა, რომელიც დასავლური საფეხბურთო მეურნეობისთვის უკვე დიდი ხანია გაკვალული და ათვისებულია. ზოგადად რომ დავთვალოთ, უცხოეთში საქართველოდან დაახლოებით სამასამდე ფეხბურთელია წასული. მაგრამ, გულშემატკივარს უპირველესად ისინი აინტერესებს, ვინც ეროვნული გუნდის წევრი ან კანდიდატია. ბიჭებს ნუ ეწყინებათ, მაგრამ ებრაული რიშონ ლე-ციონის „ირონის", აზერბაიჯანული „ქიაფაზისა" თუ მოლდოვური „შერიფის" ქომაგობა, დაგვეთანხმებით, ვერაფერი სახალისო საქმეა.

ისეთი, სანაკრებოდ რომ შეუგულებიათ, დაახლოებით 20-25 ფეხბურთელია. ამათგან მხოლოდ რამდენიმე თამაშობს ძლიერ ჩემპიონატებში. მართლაც ძლიერ გუნდში კი არცერთი. შედეგი? ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპს ქართველი აღარ შემორჩა — აქ სპარტაკელ ხიზანეიშვილს არ ვგულისხმობთ, რადგან შემადგენლობაში ვერ ხვდება — უეფას თასზე კი ერთი ზაზა ჯანაშია დარჩა.

რუსეთის ახლახან დამთავრებული ჩემპიონატი გავიხსენოთ. იქ ნაკრების ხუთი კანდიდატი თამაშობს. ხიზანეიშვილზე უკვე ვთქვით. ლოკომოტიველმა ჯანაშიამ სეზონში ხუთი ბურთი გაიტანა, რაც მაღალი კლასის თავდამსხმელისთვის არცთუ კარგი შედეგია. იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ზაზა უფრო შემქმნელია, ვიდრე გამტანი. გვარამაძის „კრილია" კინაღამ უმაღლესი ლიგიდან გავარდა, „კოშკა" კი ვინმე ლავრენცოვის ჩრდილში მოექცა და წლის მანძილზე სულ შვიდი თამაში მოუგროვდა. წარეთელი „ალანიას" ვერ მოეწყო. აშვეთია სხვებთან შედარებით უკეთ გაისარჯა და მოწინააღმდეგის კარი შვიდჯერ დალაშქრა. თუმცა, არც ესაა შთამბეჭდავი მაჩვენებელი. დეკემბრის დასაწყისში რუსეთის საფეხბურთო კავშირმა 33 საუკეთესო დაასახელა. მათ შორის ქართველები ვერ მოხვდნენ. შარშან ამ სიაში ჯანაშიასა და დემეტრაძის გვარებს ამოიკითხავდით. აი, ასეთი იყო „რუსი ქართველების" წლევანდელი მონაგარი. არადა, რუსეთის ჩემპიონატი ევროპაში საშუალოზე დაბალი დონისად ითვლება.

ასეთივე გაქანებისაა შვეიცა-

ზაზა ჯანაშია (№9) ქართველთაგან ევროთასებს ყველაზე დიდხანს შემორჩა

REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS

საზარდულის ტრავმამ ქინქლაძის თამაშს დაღი დაასვა

REUTERS

იაშვილმა დორტმუნდელ ოლისეს აჯობა

ქალაძე მეორე ქართველი იქნება, ვინც მსოფლიო ნაკრებში ითამაშებს

REUTERS

რიის პირველობა და იქაც ჩვენებურთა გუნდები ცხრილის ქვედა ნაწილში მოქცეულან. თუმცა, ამაში, ყველაზე ნაკლები ბრალი ქართველებს მიუძღვით. ჯამარაული და ყაველაშვილი „ციურიხის“ ნამდვილი ლიდერები გახდნენ. სეზონის შუაში გატანილი 7-7 გოლიც ამის დასტურია. განსაკუთრებით გოჩა ჯამარაულის ჩინებულ თამაშს აღნიშნავენ. ნახევარმცველისთვის ამდენი და თანაც ლამაზი გოლების გატანა კარგი მომზადების მაჩვენებელია, გოჩას ნიჭიერებაში კი ეჭვი არასდროს გვეპარებოდა. აკი ჯანი კარნევალიმაც თქვა, იტალია-საქართველოს მატჩში, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად ერთი ტაიმიც არ უთამაშია, ჯამარაული მომეწონაო.

„როცა ჯამარაული ხასიათზეა“ — ასე დაასათაურა შვეიცარიულმა სააგენტომ „ციურიხი“ — „ლოზანას“ მატჩის მიმოხილვა, რომელიც მასპინძლებმა 3:1 მოიგეს: „ციურიხი“ მაშინ იგებს, როცა გოჩა თამაშის ხასიათზეა. ვერ გეტყვით, რომ „ლოზანას“ მარტომ მოუგო, მაგრამ როცა ქართველი იშტაზეა, მაშინ გამარჯვება ძალიან ახლოა“ — წერენ შვეიცარიელები. ასე რომ, საშემოდგომო ეტაპის გმირებად თამამად შეიძლება ჯამარაულ-ყაველაშვილის წყვილი დავასახელოთ. შესაძლოა, ამათ უკეთეს გუნდში თამაში ეკუთვნით, მაგრამ ერთიცაა — სახელიან კლუბში მუდმივად სათადარიგოთა სკამზე ჯდომას, როგორც, ვთქვათ, ეინდჰოვენელი გახოკიძეა, საშუალოში მიღებული სათამაშო პრაქტიკა სჯობს. რეხვიაშვილის მაგალითი გავიხსენოთ. რიგის „სკონტოს“ მცველმა დიდებულად ჩაატარა სანაკრებო მატჩები ლიტვა-იტალიაში. თუმცა, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „სკონტო“ კვლავ ლატვიის ჩემპიონი გახდა, ხოლო ალეკო პრემიერლიგელი პახარისის შემდეგ, ლატვიის საუკეთესო ფეხბურთელთა შორის მეორე იყო.

აბა, როგორ შეიძლება ლეგიონერებზე ვილაპარაკოთ და გიორგი ქინქლაძე არ ვახსენოთ. ზაფხულში გადატანილმა საზარდულის ოპერაციამ გიოს დიდი დრო დააკარგვინა და გვიან შემოდგომამდე ნორმალურად თამაშის საშუალება არ მისცა. ნოემბრის ბოლოს კი ბრიტანელები ისევ აალაპარაკა. გაზეთმა „დერბი ივნინგ ტელეგრაფმა“ „ბრედფორდთან“ მატჩის შემდეგ გიოს „მნიშვნელოვანი ფიგურა“ უწოდა და აღნიშნა, რომ „მანჩესტერ სიტის“ ყოფილი ვარსკვლავი ისეთი ფეხბურთის თამაშს იწყებს, როგორსაც მისგან დერბელები დიდი ხანია ელიან. ვნახოთ, რა იქნება.

ქინქლაძის არ იყოს, ტყუპი არველაძეები, იაშვილი, ცქიტიშვილი და ქეცბაიაც ტრავმებმა გატანჯეს. მათ საკუთარი შესაძლებლობების მხოლოდ ნახევარი თუ გამოავლინეს.

დღეისთვის ყველაზე ძლიერ გუნდში მოხვედრის შანსი კიევის დინამოელ კახა კალაძეს აქვს, რომელმაც ზაფხულში ასევე მძიმე ტრავმა გადაიტანა და ფორმა ახლახანლა აღიდგინა. იტალიური „მილანი“ და ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“ ქართველის გადაბირებას ცდილობენ. ამ გუნდებში კი ნებისმიერი ვარსკვლავი სიამოვნებით ითამაშებდა. და კიდევ, კალაძე მსოფლიო ნაკრებშია მიწვეული, რომელიც 3 იანვარს ტოკიოში კორეა-იაპონიის გაერთიანებულ გუნდს დაუპირისპირდება. ამრიგად, კახა სლავა მეტრეველის შემდეგ მეორე ქართველი გახდება, ვისაც ასეთი პატივი რგებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანები და კარტოფილები

ოქტომბრის ერთ სუსხიან დღეს შტუტგარტის ვაგზალზე ქართველი კაცი ამაყად აფრიალებდა ინგლისურ „მირორს“. „არსენ ვენგერმა ტონი ადამსის შემცვლელი იპოვა“ — იტყობინებოდნენ ალბიონელი ტაბლოიდები. და რა იყო ამაში უცხო მინაზე მყოფი ქართველისთვის საამაყო? ვენგერის რჩეული ზურაბ ხიზანიშვილი გახლდათ, 19 წლის ქართველი, ჯერაც ბევრისთვის უცნობი ბიჭი.

პაატა კვანტალიანი

ამ ინფორმაციას ჩვენში ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა და არცთუ უსაფუძვლოდ. ბევრჯერ ყოფილა ამა თუ იმ ქართველ ფეხბურთელთან დაკავშირებით ისეთი სუპერკლუბების სახელების რახა-რუხი ამტყდარა, თქვენი მოწონებული. მერე კი ყოველივეს გვიანი შემოდგომის ქარივით ჩაუვლია.

მან კი თქვა — ჰო, მივდივარ, ბედნიერი ვარო და წავიდა.

ზურაბ ხიზანიშვილი ალალი, წყნარი ბიჭია. დახვეწილი მანერები, მშვიდი, მოზომილი სიტყვა-პასუხი უმალ პატივისცემას იწვევს და მასთან კონტაქტს გიადვილებს. არაფრით გავს გათავხედებულ ფეხბურთელებს.

რამდენიმე საათის წინ ჩამოფრინდა ლონდონიდან, გამოუძინებელი, დაღლილი. მალე ვარჯიში იწყება. ფიქრებით კი სხვგანაა. თვალებგაბრწყინებული ყვება, რომ „არსენალი“ დიდებულია, ადამსი ბავშვივით კეთილშობილია. „ჰაიბერი“ მომნუსხველი... ვენგერი, ანრი, ბერხკამპი, ვიეირა — ცოტა ხნის წინა ოცნება. შენ გვერდით არიან, აქვე თითის გაწვდენაზე. ავერ პარლოუ პასს გაწვდის, დაუჯერებელია, კანუ შენგან ბურთს ითხოვს.... ზღაპარია...

ზურაბ რატომ დაბრუნდი თბილისში?

ინგლისელები ჩამოვლენ. ისევ ნახავენ. აუცილებლად მოიწონებენ და იქ დაბრუნებენ. ბავშვური მზერა სადღაც გამქრალა. იცის რომ მისი ბედი გადაწყვეტილია, არადა რა დიდებულად ფრიალებდა შტუტგარტის ვაგზალზე ინგლისური „მირორი“.

გაუჭირდება?

არა მგონია, ყოველ შემთხვევაში მან იცის, რომ ყველა წინააღმდეგობას დაძლევს. ამასწინათ რივალდოს ინტერვიუ წაიკითხა. გაიგო, რომ დღეს უკვე ბრაზილიელი ვარსკვლავი ყმაწვილბიჭობაში უთანასწოროდ ებრძოდა გაჭირვებას. დაძაბუნებულს კბილებიც კი დასცვენია. წაიკითხა და გაზეთის ამონაჭერს სათუთად ინახავს. გეუბნება, რომ ყველაფერი რიგზე იქნება და გჯერა.

...დღეს უკვე ბევრისთვის ცნობილია: ზურაბ ხიზანიშვილი „არსენალში“ ვერ გადავიდა.

მაგრამ ასევე ბევრისთვის უცნობია ის დეტალები, რამაც ხუხულასავით დაშალა საათივით აწყობილი საქმე. ფეხბურთელი თავისას ამბობს, „ლოკომოტივი“ თავისას, ინგლისელები ქართული კლუბის მადას ასახელებენ პრობლემის მიზეზად. უმთავრესი კი ის არის, რომ შეიძლება მომხდარიყო ძალზედ კარგი რამ და არ მოხდა. ერთი რამ კი ნათელია, ამ საქმეში ჩახედული კაცი ვერაფრით დაიჯერებ, რომ „ლოკომოტივმა“ ყველაფერი გააკეთა თავისი ფეხბურთელის დიდ კლუბში გასაშვებად. ჩემთვის გაუგებარია ერთი რამ. დავუშვათ მართლაც აკავშირებდა ხიზანიშვილს კონტრაქტი „ლოკომოტივთან“. ერთი, ორი, თუნდაც ოთხწლიანი ყოფილიყო იგი, ოპტიმალური პირობების გამოძებნა და მადის მოთოკვა გამართლებული არ იქნებოდა ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელის საკეთილდღეოდ და საერთაშორისო აღიარებისთვის, ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ფულით ხომ არ ისაზღვრება...

არ გამიჭირდება მომხდარის დავიწყება, მომავალსაც იმედით ვუყურებ. არ მეშინია ამ სიტყვების რომ ვამბობ, ჩემს ცხოვრებაში ბევრი არაფერი გამიკეთებია ფეხბურთისთვის, მხოლოდ ვარჯიში, ვარჯიში, გაუთავებელი ვარჯიში, მაგრამ ვგრძნობ ღმერთს ჩემთვის არაფერი დაუკარგავს და მომავალშიც არ დამიკარგავს. არჩევანი 9 წლისამ გავაკეთე, დიდი მსხვერპლის ფასად — საყვარელ ადამიანს ვაწყენინე...

დედას უნდოდა მოცეკვავე ყოფილიყო, ზურამაც ანგარიში გაუწია, მალე სოლო პარტიასაც ასრულებდა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლში, ნიჭიერ ბავშვს ყველა წარმატებულ კარიერას უწინასწარმეტყველებდა და ალბათ, მხოლოდ მამას ეღიმებოდა თავისთვის. ერთხელაც შეგირდები ფეხის თითებზე დააყენა მასწავლებელმა და ბრძანა 45 წუთის განმავლობაში არავინ შეტოკებულიყო, ბავშვების მზერა კი მასწავლებლის ხელში ნება-ნება მოქანავე წკეპლას დასტრიალებდა. ზურამ ნახევარ საათსაც კი ვერ გაუძლო, წკეპლის ზუზუნმა და გაუსაძლისმა ტკივილმა გამოაფხიზლა... მეორე დღეს „ნორჩი დინამელის“ კარებთან იდგა.

და ჩვენთან საქართველოში ჰგონიათ, რომ ფეხბურთელის გრძნობებზე თამაში ბაზარში კარტოფილის გამყიდველთან გაცხოველებული ვაჭრობის ტოლფასია...

ოქტომბრის სუსხიან შტუტგარტში კი ერთ ქართველს ეგონა, რომ არსენ ვენგერს ტომი ადამსის მრავალწლიანი შემცვლელი ნაპოვნი ჰყავდა.

ლიტვა - საქართველო: ზურაბ ხიზანიშვილმა ლიტველ ივანაუსკას ბურთი არ დაანება

ერთი იმედი და წარსულის რეალობა

მამუკა კვანტალიანი

რამ შვა იმედი...

ორი გასვლითი მატჩი, შინ წამოღებული სამი ქულა და ჯერ მხოლოდ იმედი იმისა, რომ... საქართველოს ნაკრებს სულ 67 მატჩი უთამაშია, 23 მოგება, 11 ფრე და 33 წაგება, ბურთების შეფარდება 86:94-თან. დაგვეთანხმებით, ნამდვილად უარყოფითი ბალანსია, მაგრამ ბევრს არაფრით ტოვებს იმის შეგრძნება, რომ საქართველოს უპირველესი გუნდი კორეა-იაპონიაში მოხვდება.

გულშემატკივარი ახლა არ ფიქრობს, რა იქნება 2001 წლის 6 ოქტომბრის შემდეგ. სწორედ იმ დღეს დაასრულებს ეროვნული გუნდი მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს. არავინ იცის, რა მოგველის გაზაფხულზე, როგორ ფორმაში და რა შემადგენლობით დავუხვდებით რუმინელებს, ვინ შეემატება და დააკლდება ნაკრებს.

დღეისთვის ერთია მხოლოდ მთავარი, არსებობს არცთუ უსაფუძვლო იმედი, ხოლო როგორია არსებული რეალობა ქომაგისთვის (სხვათა შორის, ზოგიერთი სპეციალისტისთვისაც) ჯერჯერობით მეორეხარისხოვანია.

ზოგი მოპოვებულ სამ ქულას და მთლიანად ლიტვურ-იტალიურ ტურნეს წარმატებად მიიჩნევს, ზოგიც ნაკრების ნაღვაწს მოკრძალებულად უყურებს. უარყოფითად კი არავის შეუფასებია ეროვნული გუნდის მონაგარი.

კი მაგრამ, რამ წარმოშვა ის ერთი იმედი მთელი საფეხბურთო ქვეყანა რომ აალაპარაკა და რეალობა მიავიწყა? საამისო მიზეზი არაერთია და უპირველესი ალბათ ის, რომ ეროვნული გუნდი კიდევ ერთი ეტაპით დაბრძენდა. გამოცდილება კი მსგავსი დონის ტურნირში ბევრს ნიშნავს.

ნაკრების ძირითადი ბირთვისთვის, არ არის გამორიცხული, კორეა-იაპონიისკენ სავალი გზა თავის გამოჩენის ბოლო შანსი იყოს. ამიტომ ცდილობენ შესაძლებლობათა მაქსიმუმის წარმოჩენას.

მწვრთნელთა დუეტი ჯერჯერობით შეთანხმებულად მუშაობს. ისინი სრულად აკონტროლებენ არსებულ ვითარებას. ყოველ შემთხვევაში, გარედან ქომაგი მხოლოდ სრულ ურთიერთგაგებას ხედავს.

აღკვეთილია ყველანაირი და ყოველმხრივი კონფლიქტები და ინტრიგები, რაც ასე დამღუპველად მოქმედებდა გასული წლების გუნდებზე. დღეს ყველა ერთადაა, ფეხბურთის ფედერაციამ პრემიებიც (აქამდე არნახული) კი დააწესა, ხოლო ქართული ფეხბურთის დიდმოხელენი სავარჯიშო სამოსში ეროვნული გუნდის წევრებთან ერთად იდენენ ოფლს.

ეს ყველაფერი კარგია და გარკვეული შედეგი გამოიღო, მაგრამ არის კიდევ ერთი კითხვა, რომელიც ზოგიერთს ნაკრების ლიტვაში გამგზავრებამდე დაებადა და დღესაც აქტუალურია: ითამაშა თუ არა ყველა ღირსეულმა?

არა, არ უთამაშია და ამაში მხოლოდ ტრავმები როდია ხელის შემშლელი. არიან ფეხბურთელები, რომლებიც მწვრთნელთა უახლოეს გეგმებში ვერაფრით თავსდებიან. არიან ისეთებიც, რომლებსაც თავად მწვრთნელები არ მოსწონთ და წარმოიდგინეთ, ისეთიც მოიძებნება, ვისაც ნაკრები, მწვრთნელი და ქართული ფეხბურთი სულ არ აინტერესებს, არადა, ქართველია, ჭირვეული ქართველი.

თუ ეს პრობლემაც 28 მარტამდე მოგვარდა, მაშინ თამამად შეგვეძლება ვთქვათ, რომ საქართველოს ჰყავს ძლიერი ნაკრები.

ლიტვა-იტალიაში კი ეროვნულმა გუნდმა ითამაშა სოლიდურად, იბრძოლა თავდაუზოგავად, არ შერცხვა, როგორც ამას ბოლო დროს ვიყავით ჩვეულნი, მაგრამ ეს მაინც არ იყო ბოლომდე დახვეწილი და ჩამოყალიბებული ნაკრები, გარკვეულ მომენტში დაგვრჩა არასრულყოფილების გრძნობა. იმედი კი არის და მსგავსი რამ არასდროს ყოფილა.

მაისში ნორვეგიელები ქართველებს თავზე გადაახტნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბადრი ჯობავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარტის თვეა ჩვენი?..

არა, ასე ნამდვილად ვერ ვიტყვით, არადა, უახლოესი და, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩი 28 მარტს, რუმინეთთან გველის. ჯერაც არ გარკვეულა, რომელ სტადიონზე ვუმასპინძლებთ რუმინელებს, მაგრამ ეს საშინაო შეხვედრაა, საკუთარი ქომაგის თვალწინ.

მარტის თვეში საქართველოს ნაკრებს არსებობის მანძილზე სულ 6 მატჩი ჩაუტარებია. 2 მოგება, 2 ფრე და 2 წაგება — აი, ასეთია მოკლე სტატისტიკური ინფორმაცია.

გამარჯვებები ამხანაგურ მატჩებშია მიღწეული. ორჯერვე „ეროვნულზე" უყოჩაღია ეროვნულ გუნდს.

ფრეებისთვის ერთხელ შინ, ერთხელაც სტუმრად გამოგვიკრავს ხელი. ერთი ოფიციალური თამაში ყოფილა, მეორე ამხანაგური.

წაგებით შინ ოფიციალურ თამაშში დაკმარცხებულვართ, სტუმრად კი — ამხანაგურში.

მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ოფიციალური მატჩები და თანაც ჭირვეული მარტის ბოლო რიცხვებში. ასეთი აქამდე მხოლოდ ორი ყოფილა — 1995 წლის 29 მარტს „ეროვნულზე" გერმანიამ 2:0 მოუგო საქართველოს, ხოლო 1999 წლის 27 მარტს ეროვნულმა გუნდმა „ეროვნულზევე" ქულა გაიყო სლოვენიასთან.

მეტად არასახარბიელო მონაცემია, წინ კი 28 მარტია, შუალედური 27-სა და 29-ს შორის. იქნებ გამარჯვების ჯერია?!

REUTERS

მარტში ებრაელები და ქართველები ერთმანეთს მშვიდობიანად დასცილდნენ

საშიში ზაფხული

რამდენჯერ გვსმენია ნაკრების მწვრთნელებისგან, ფეხბურთელები ყველაზე ცუდ ფორმაში საფეხბურთო სეზონის დამთავრებისთანავე, ზაფხულში გვყავსო. ჰოდა, 2 და 6 ივნისი სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება.

ბევრს დღესაც მოურჩენელი წყლულივით ახსოვს პოლონური ფიასკო, დამარცხება საბერძნეთთან, თითქმის მოგებულ მატჩში. კიდევ წაგება ესტონეთთან და არაფრისმომცემი და არაფრისმთქმელი ფრე აზერბაიჯანთან.

თუმც მთლად უხეირო თვეც არ ჰქვია ივნისს. ნაკრებს 8 თამაში ჩაუტარებია, 3 მოგება, 1 ფრე და 4 წაგება. ერთმანეთშია გადახლართული სიხარული და დიდი იმედგაცრუება.

ზაფხულის პირველი თვის საწყის რიცხვებში რა მოელის ნაკრებს, რას გვპირდება წარსულის გამოცდილება?! აღნიშნულ პერიოდში ეროვნულ გუნდს 4 ოფიციალური მატჩი უთამაშია — ორი შინ, ორიც სტუმრად. წაგება-მოგებაც თანაბარია, შინ და გარეთ.

2 ივნისს ვმასპინძლობთ იტალიას, ხოლო 6-ში ვეწვევით უნგრეთს. ადრე, სტუმრად და შინ, შესაბამისად წაგვიგია 1997 და 1999 წლებში. პოლონეთისა და საბერძნეთის გუნდებმა აჯობეს საქართველოს ნაკრებს, 1995-სა და 1997 წლებში კი გასვლაზე მოგვიგია უელსისთვის და შინ მოლდოვისთვის.

ეროვნულ გუნდს გადაბმულად ორი ოფიციალური მატჩი ზაფხულში აქამდე არ უთამაშია, ახლა კი იტალია და უნგრეთია ერთბაშად. არა, ნაკრების კალენდარი ერთი სიტყვით ასე შეიძლება დავახასიათოთ — წამგებიანი!

ორად გაყოფილი შემოდგომა

ორაზროვანი და ორბუნებოვანია ეროვნული ნაკრებისთვის შემოდგომა. 2001 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ოთხი თამაშია, ალბათ, საბოლოოდაც გადამწყვეტი.

ივნისში ქართველები პოლონეთში შერცხვნენ

ვადრე ქეთილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ სექტემბერში განიცადა ქართველმა ქომაგმა პირველი სერიოზული დარტყმა. მოლდოვასთან საშინაო წაგებამ სარკეში ჩაგვახედა, ჩვენი თავი დაგვანახა. მაშინ 1994 წელი იყო.

ორი წლის შემდეგ, 1 სექტემბერს, სტუმრად ამხანაგურ მატჩში ძლივს მოგვიგო ნორვეგიამ და 1999-ში გვეგონა, რომ შინ აუცილებლად დავამარცხებდით, მაგრამ ეროვნულმა გუნდმა „ეროვნულზე" სამარცხვინოდ წაგო.

1998-ში ძლივს მოუგო ნაკრებმა ალბანეთს, არც ის მატჩი გამოდგა გზის მაჩვენებელი.

სამაგიეროდ, 1997 წლის 10 სექტემბერს ფრედ ვითამაშეთ იტალიასთან. ქვეჯგუფში ინგლისელებისთვის ფასდაუდებელი საქმე გავაკეთეთ. ხოლო საქართველომ ფიფა — კოკა-კოლას რეიტინგში მანამდე არნახული ნახტომი გააკეთა.

იმავე წლის სექტემბერშივე როგორც იქნა, სტუმრად მოვუგეთ მოლდოვას და მოლდოვური სინდრომიც საბოლოოდ მოიშორა საქართველოს ნაკრებმა.

ოქტომბერსაც თავისი ხიბლი ჰქონია. სწორედ ამ თვეს მიაღწია ეროვნულმა გუნდმა თავის პირველ სერიოზულ გამარჯვებას. ოქტომბერში წაგვიქცევია მაშინ ყველასთვის სერიოზული და საშიში მეტოქე, ბულგარეთი.

ოქტომბერში ვეთამაშეთ პირველად ტოლ-სწორად იტალიას, რევანში ავიღეთ პოლონეთთან სამარცხვინო წაგებისთვის.

ოქტომბერშივე იყო ლატვიურ-ბერძნული ავადმოსაგონარი ტურნე და ოქტომბერმაც შვა ის ერთი იმედი, რომელზეც წერილის შესავალში გვქონდა საუბარი.

საქართველოს ნაკრებს სექტემბერში სულ 10 მატჩი უთამაშია — 3 მოგება, 2 ფრე და 5 წაგება. ჩვენთვის საინტერესო აღნიშნული თვის პირველი ნახევარი და ოფიციალური მატჩებია. ამ პერიოდის სტატისტიკა ასეთია — 2 მოგება, 2 ფრე და 3 წაგება.

ოქტომბრის 9 მატჩზე 3 მოგება და 6 წაგება მოდის, ეს რიცხვები ზუსტად იმ თარიღებს ემთხვევა, ეროვნულ გუნდს თამაშები რომ უწევს.

ახლა ის ვთქვათ, სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით რეალურია თუ არა ჩვენი, ქომაგის და სპეციალისტების ის ერთი იმედი? გადაჭრით რამის მტკიცება უადგილოა და არც უიმედობა არგებს საქმეს.

მართალია, სტატისტიკა მაინცდამაინც ნაკრების უპირატესობაზე არ მეტყველებს, მაგრამ უსაშველო დისბალანსიც არ შეინიშნება.

ახლა ნოემბრის ბოლოა. პრობლემები აქვს რუმინეთს, ათამაშდა უნგრეთი, მაინცდამაინც ყინჩად ვერ გამოიყურება იტალია, საცოდავია ლიტვა და საქართველოსაც ბევრი, ძალიან ბევრი შრომა ელის.

28 მარტამდე, მით უმეტეს, 6 ოქტომბრამდე დიდი დროა, არავინ იცის, ვინ როგორ ფორმაში იქნება, მაგრამ მომავალი წლის გაზაფხულის პირველი თვის ბოლო და ზაფხულისა და შემოდგომის დასაწყისი უმნიშვნელოვანესი იქნება ქართული ფეხბურთისთვის.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲝᲣᲒᲔᲡ

ᲤᲝᲢᲝ: ᲒᲘᲠᲩᲘ ᲛᲔᲠᲐᲫᲔ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღმერთის ხელა კაცის სიბერე

გიო ახვლედიანი

ღმერთის ხელი იყოო თქვა თვითონ და მერე იმიტომაც დაარქვეს ღმერთისხელა.

მართლა ღმერთის ხელი იყო, თუ თვითონ გარია ღმერთის ხელი ამ ამბავში, ახლა ძნელი დასადგენია, მაგრამ რაღაც რომ იყო, არცთუ მთლად მიწისა, არც არავის უდავია ოდესმე. სადავო მხოლოდ ის დარჩა, მართლა ღმერთისაა, თუ აქაურობას ჯვარი სწერია და იბრალებს, სინამდვილეში კი ეშმაკებთან უფროა ახლოს.

ასეა თუ ისე, სადავო ბევრი არაფერია, დიეგო მარადონა იყო ფეხბურთის უდიდესი მოთამაშე.

თუ ფეხბურთს რაღაც განსაკუთრებულ, გლეხებით, მონებით, თავადებით, ჰერცოგებითა და ქურუმებით დახუნძლულ არარსებულ სამეფოდ, წარსულის ბრწყინვალებად წარმოვიდგენთ, რომლის ტახტსაც აუცილებლად სჭირდება მეფე, მაშინ ეს მეფე პელე იქნება.

მაგრამ თუ ფეხბურთს მარად ცოცხალ, ვნებიან, მდიდარ და მაინც სახალხო და ქუჩურ თამაშად დავსახავთ, თუკი მისი ცქერისას თანამონაწილეობის, ავის თუ კარგის ერთად კეთების სურვილი გვიჩნდება, მაშინ ამ ფეხბურთის პირველი კაცი დიეგო მარადონაა, ვინაიდან, ამგვარ თამაშში არ არიან მეფეები, არამედ მხოლოდ გმირები.

ოქტომბრის ბოლოს მარადონა ორმოცისა მოიყარა. ეს ის ასაკია, ბიჭობა რომ არ გეთმობა. მარადონას იმდენი წელიწადია არ ეთმობა ბიჭობა, რომ ეს მომრგვალებული თარიღი მისთვის ბევრს არაფერს ცვლის. მან რომ ფეხბურთს თავი დაანება, წესით, ყველა გაზეთს ნეკროლოგის ტიპის წერილები უნდა დაებეჭდა, მაგრამ დიეგო იმდენხანს ანებებდა თავს ფეხბურთს, რომ კაცი ვერარ დაადგენდა, მართლა წავიდა, თუ კვლავ დაბრუნდებოდა.

და ის ბრუნდებოდა, უფრო და უფრო უარესი, უფრო და უფრო მძიმე, ჩვეულებრივი და მაინც არაჩვეულებრივი.

ბოლო ათი წლის მანძილზე მისი ცხოვრება ერთი დიდი გაუგებრობა და სკანდალი იყო. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მისი მხრებით მითრეული აუტანელი იერის გუნდი, ნეაპოლიდან წასვლა, კოკაინისთვის დაპატიმრება, ლამის სამწლიანი გაუჩინარება, 34 წლის ასაკში ბრწყინვალე გამოჩენა მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატზე, ეფედრინი, დისკვალიფიკაცია, წლინახევრის შემდეგ „ბოკას“ შემადგენლობაში დაბრუნება სამხრეთ კორეის ნაკრებთან მატჩში, ორწლიანი ჭიდილი ფეხბურთში დარჩენისთვის და ამ ორი წლის განმავლობაში საგანგებო ვარჯიშები ბენ ჯონსონთან, ნარკოტესტები, ტყვიის სროლა ჟურნალისტებისთვის, გულის შეტევა პირდაპირ ეთერში, მისი მენეჯერის და ძმაკაცის გილერმო კოპოლას სახლში ნაპოვნი კოკაინი, უშედეგო მკურნალობა შვეიცარიაში, ფეხბურთელთა ასოციაციის დაარსება და ჩაფლავება, „რასინგის“ სამკვირიანი მწვრთნელობა, ათასი რამ, მათ შორის ჩე გევერას სვირინგი მკლავზე, უკანონო შვილის აღმოჩენა იტალიაში, კუბაზე სამკურნალოდ ყოფნა, კვლავ მწვრთნელობა და წიგნი — „მე დიეგო“.

დიეგო მარადონამ არგენტინის ნაკრებში 105 გოლი გაიტანა



ეს არც თუ ნორმალური რამაა კაცისთვის, რომელიც ახლახან შესრულდა ორმოცისა და რომელსაც მთელი მსოფლიო უდარაჯებს — აბა, კიდევ რა დაემართება, დავსხდეთ და ვიკაიფოთო.

დღევანდელ ფეხბურთში არ არის მეტნაკლებად საყურადღებო ეპიზოდი, რომლის ცქერისასაც არ იქნება არ გაიფიქრო: რას იზამდა, ვთქვათ კრუიფი, პელე ან დი სტეფანო ამ დროს?

ფეხბურთი კლასიკად ქცეული ილეთების ერთობლიობაა. ამიტომ, მისი გარჩევისას ძალიან ძნელი არ უნდა იყოს საუკეთესო ვარიანტების ამორჩევა. საუკეთესო ვარიანტებს საუკეთესო ფეხბურთელები ქმნიდნენ, მაგრამ... მაგრამ მარადონა ქმნიდა არა მხოლოდ ამ ვარიანტებს, არამედ მათ წინაპირობებსაც. თუკი ქვეყნად არსებობს ირაციონალური რაციონალიზმი, მარადონას სწორედ ეს შეეძლო.

ის შემოქმედი იყო მაშინაც კი, როცა ბევრს ვერაფერს შემოქმედებდა. ისინი ყველანი რესპექტაბელური ძიაკაცები არიან: ფრანც ბეკენბაუერი, პელე, ბობი ჩარლტონი, კრუიფი. თვით ლოთბაზარა ჯორჯ ბესტიც კი რესპექტაბელურ ვინმედ ჩამოყალიბდა. ჟორჟ ვეაც კი რესპექტაბელურობას აფრქვევს. რივალდო, რონალდო, რამდენს ჩამოთვლი? ჩაიცმევენ პაკო რაბანის და ვერსაჩეს კოსტუმებს და საზოგადოების ნაღებად წარმოჩნდებიან-ხოლმე.

მარადონა კი არასოდეს ყოფილა საზოგადოების ნაღები. არასოდეს ცდილა რესპექტაბელურ საზოგადოებაში მიღებულ კაცად ქცეულიყო. ოდნავ მაინც რომ სდომებოდა, ამას შეძლებდა. ოდნავ მაინც რომ შეძლებოდა, გახდებოდა. ნეაპოლში კომორას დონებთან ამხანაგობდა, კანადაში ბენ ჯონსონთან... ამერიკაში ძლივს შეუშვეს და, აბა, თქვით, განა როდესმე გაბრიელ ბატისტუტა იტყვის ფიდელ კასტროზე კარგი კაციაო?

ისეთი გარეუბნელი ბიჭები გამხდარან ბურჟუული ყოფის ტკბილი და წესიერი წევრნი, რომ მარადონას ქუჩის ბიჭობა იმათთან მონაგონია, მაგრამ ის, ვერა. ათასობით სპორტსმენი ყნოსავს კოკაინს დღევანდელ მსოფლიოში, ათასობით გამოჩენილი ადამიანი ყოველდღე ურეკავს თავის ნარკოდილერს, მაგრამ საქვეყნოდ სალაპარაკო და სასკანდალო მხოლოდ მარადონას ისტორია შეიქნა.

რატომ?

იმიტომ, რომ მთელი მისი ცხოვრება, არცთუ ბედნიერი და არცთუ მშვიდი, იმ

„ღმერთის ხელით“ შეგდებული გოლის მსგავსი ამბავია. თავად ამ გოლის ისტორია სრულიად ზღაპრულია და მასში მარადონას მთელი თავგადასავალი ჩაეტევა.

ახლა სისულელე იქნებოდა მოგვეყოლა, თუ რა შეეძლო მოედანზე ამ კაცს. სისულელე იქნებოდა იმის მტკიცება, რომ მარადონასთანა ფეხბურთელი...

მარადონა ორმოცი წლისაა. სხვათა შორის, პელე ახლახან შესრულდა სამოცის. სამოცი წლის პელე ისეთივეა, როგორიც იყო ორმოცდაათი წლის, ორმოცი წლის, ან სულაც ოცდაათი წლის პელე, ნიუ იორკში რომ გაემგზავრა მილიონერად გასახდომად.

როგორი იქნება ორმოცდაათი წლის მარადონა?

ალბათ ისეთი, როგორიც ორმოცისა, ან ოცდაათისა იყო. ოღონდ ისეთი არა, როგორიც პელეა.

მარადონა ყოველთვის მარადონასნაირი კაცი იყო.

ამიტომ ვერ შევადარებთ პელეს. პელე მერე იყო ზემონახსენებ სამეფოში, მარადონა კი მეფე არასდროს ყოფილა, იმიტომ რომ სამეფოები არ უყვარდა. მას ალბათ, არასდროს დაპატიჟებენ ნიუ იორკის საფონდო ბირჟის რომელიმე საბროკერო კანტორის პრეზენტაციაზე და ამიტომ პელეს ვერ შევადარებთ.

ძალიან დაბალი, ძალიან მსუქანი, ძალიან ეშმაკი, ძალიან ალალი, ძალიან უშნო, ძალიან ბედნიერი, ძალიან უბედური, ძალიან უიღბლო, ძალიან იღბლიანი და ძალიან ცოცხალი თვალებით. აი, ასეთია დღეს დიეგო არმანდო მარადონა — გენიალური ფეხბურთელი, რომლის ბადალიც...

მოდით ჩამოთვლას ნუ შევუდგებით, თორემ წამსვე კამათი ატყდება და კამათში რომ ჭეშმარიტება არ იბადება, ბავშმაც კი იცის.



REUTERS

დიეგო საკუთარი წიგნის კითხვისას

მარადონას კლუბები: „არგენტინოს ხუნიორსი“ (1976-80; ფოტო 76-ის 20 ოქტომბერს, სადებიუტო შეხვედრის დროსაა გადაღებული); „ბოკა ხუნიორსი“ (1980-82 და 1995-ის ოქტომბერი); „ბარსელონა“ (1982-84); „ნაპოლი“ (1984-91); „სევილია“ (1992-93); „ნიუელს ოლდ ბოიზი“ (1993)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსამართლე და მოწყალე

REUTERS

დაღლილი მსაჯები მოედანს ტოვებენ. მათ გაუმართლათ, ხელი მხარზე ამჯერად მადლობის ნიშნად ხვდებათ

პაპუნა კედია

წარმოიდგინეთ რომ...

მეკარე არცთუ ძლიერად დარტყმული ბურთის ხელში დაჭერად გაწვა, მაგრამ ბურთი ბელტს მოხვდა, მიმართულება იცვალა და კარში შევარდა.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ მეკარე არცთუ ძლიერად დარტყმული ბურთის ხელში დაჭერად წვება, მაგრამ ატალახებულ გრუნტზე ფეხი უცდება და გოლს უშვებს.

და ბოლოს, წარმოიდგინეთ, რომ მეკარემ გოლი მსაჯის შეცდომის გამო გაუშვა.

თეორიულად მეკარეს ბურთი სამივე შემთხვევაში უნდა მოეხელთებინა, მაგრამ გარეშე ფაქტორმა ერთი შეხედვით უწყინარი ეპიზოდი მისი მარცხით დაასრულა. პირველ შემთხვევაში გარეშე ფაქტორი მოედნის ხარისხი იყო, მეორეში ამინდი, ხოლო მესამეში მსაჯი.

როგორ გგონიათ, რომელი მათგანი აღაშფოთებს ჩვენს წარმოსახვით გოლკიპერს ყველაზე მეტად? ცხადია მესამე, რომელიც კაცმა რომ თქვას, პირველისა და მეორის მსგავსად მართლაც გარეშე ფაქტორით გახლდათ განპირობებული, მაგრამ...

ახლა, მეორე მაგალითი განვიხილოთ:

წარმოიდგინეთ, რომ ერთი გუნდის თავდამსხმელი მეორის საჯარიმოში შერბის, მას ეხება მცველი, ის ეცემა, მაგრამ მსაჯი პენალტს არ ნიშნავს.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ ერთი წუთის შემდეგ უკვე მეორე გუნდის თავდამსხმელი შერბის პირველის საჯარიმოში, მას მცველი ზუსტად წინა ეპიზოდის მსგავსად ეხება, ისიც ეცემა და მსაჯი პენალტს ნიშნავს.

დავუშვათ, არბიტრს განზრახ არაფერი გაუკეთებია. რა გამოდის? გამოდის, რომ მსაჯი ორივეჯერ ერთი და იგივე, ჩვენთვის ნომერ მეორე გუნდის სასარგებლოდ მოიქცა, რაც უკვე სკანდალის საფუძველია. მაშ, როგორ უნდა მოქცეულიყო? რაკი პირველ ეპიზოდში შეეშალა, მეორეში შეგნებულად დაეხუჭა თვალი? და ეს არაპროფესიონალიზმი არ იქნებოდა?

გამოსავალი ერთადერთია, მსაჯმა ორივე შემთხვევაში უნდა შენიშნოს წესის დარღვევა.

მსაჯი ადამიანი არ უნდა იყოს

ამბობენ მსაჯიც ადამიანია და შეცდებაო. ასე რომ ამბობენ, იმიტომაც ვერ შეირგო ინგლისმა 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონობა — სულ იმ მომენტს უხსენებენ საბჭოთა თანამსაჯმა, ტოფიკ ბახრამოვმა ძელიდან ჩამოვარდნილი ბურთი ხაზს შიგნით რომ დალანდა. ასე რომ ამბობენ, იმიტომაც ვერ შეეგუება ინგლისი 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში, არგენტინასთან დამარცხებას — თვალწინ მარად მარადონა და „ღმერთის ხელი“ დაუდგება. და რად ჩავაცივდით ინგლისს, განა არჩათვლილი გოლის, ვერშემჩნეული ოფსაიდის, ტყუილად დანიშნული პენალტის ცოტა მაგალითის მოყვანა შეიძლება? დღეს ან ხვალ ჩართეთ ტელევიზორი და ნახავთ. სხვათაშორის, ზემოთ ნახსენები შემთხვევა, ბახრამოვმა ინგლისელთა სასარგებლოდ გოლი რომ ჩათვალა, დღესაც კამათის საგანია. ასეთი, მარადიული დავის საგანი სხვაც მრავლად დაუგროვდა ფეხბურთს.

მაშ სადაა გამოსავალი? ბოლოს და ბოლოს, დღეს ის ერთი გოლი, ოფსაიდი თუ პენალტი მხოლოდ სპორტული თავმოყვარეობის დაკმაყოფილებას კი არა, მილიონობით დოლარის გადასარიცხად საბანკო ანგარიშის განსაზღვრასაც ემსახურება. სად დაჯდება დიდძალი ფული, „რეალის“ თუ „მანჩესტერ იუნაიტედის“, „ბაიერნის“ თუ „ლაციოს“ ანგარიშზე?

არა, მსაჯი ადამიანი არ უნდა იყოს, ის უნდა იყოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო სწორად მსაჯს ვიდეო დამხმარედ უნდა ჰყავდეს — ამტკიცებენ ერთნი, მაგრამ კარგი იქნება ისინი ამერიკული ფეხბურთის გამოცდილებას თუ გაითვალისწინებენ. ამერიკულ ფეხბურთში ვიდეომსაჯი 1986-92 წლებში უკვე გამოსცადეს და ბოლოს მასზე უარი თქვეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამერიკელებმა ამ ხნის განმავლობაში თავად ტექნიკაც გვარიანად დახვეწეს და მისი განლაგების საკითხიც ყოველმხრივ შეისწავლეს, მაგრამ ვიდეოსმოყოლილ მთავარ პრობლემას ვერაფერი მოუხერხეს — ყოველი სადავო მომენტი თამაშის შეწყვეტას იწვევდა. თან, გაითვალისწინეთ, რომ ამერიკული ფეხბურთი თავისთავად ისეთი თამაშია, მალიმალ რომ ჩერდება და მანაც კი ვერ აიტანა ახალი პაუზები. შეხვედრები ხშირად მოსაბეზრებელი და კომიკური ხდებოდა.

თავი იჩინა კიდევ ერთმა და საკმაოდ სერიოზულმა სირთულემ — ვიდეომსაჯი ყველა კითხვაზე პასუხს ვერ იძლეოდა, რადგან მისი გამოსახულება ორგანზომილებიანია. აშკარა იყო სამგანზომილებიანი გამოსახულების აუცილებლობა, ამაზე ლაპარაკი კი ჯერ ცოტა ნაადრევია. გამოდიოდა, რომ ადამიან მსაჯს უნდა ენახა ვიდეოკოლეგის ჩანაწერი და შემდეგ საკუთარი ფანტაზიით ის სივრცულად აღექვა. ერთი სიტყვით, ის უნდა დაბრუნებოდა დაახლოებით იმას, რაც თავისი თვალით უკვე ნანახი ჰქონდა. ასე განსაჯეთ, ხშირ შემთხვევაში პრობლემა ორმა და სამმა რაკურსმაც ვერ გადაჭრა.

ახლა დავუბრუნდეთ ფეხბურთს და წარმოვიდგინოთ საეჭვო თამაშგარე მდგომარეობა, როდის უნდა მივმართოთ ვიდეომსაჯს? როდესაც თამაში მორიგი მიზეზით შეჩერდება? ძალიან გვიანაა. აბა, ყოველი შეტევა მყის უნდა შეწყდეს და ყველა აპარატურისკენ გაიქცეს? ერთადერთი ვარიანტი ისაა: ვიდეომსაჯმა თავად, ეპიზოდის მსვლელობისას გამოიტანოს განაჩენი და სასტვენის ხმაც მომენტიდან ერთ-ორ წამში გაისმას.

ცოტა ძნელი წარმოსადგენია.



REUTERS

უნგრელი მანდორ პული წლების მანძილზე საუკეთესო იყო, ახლა კი „პენსიაზეა"

სადაა ჭეშმარიტება? ჰოლანდიელი ედგარ დავიდსი (მარცხნივ) ერთს ამტკიცებს, მსაჯი მეორეს

REUTERS

მაშ მესამე მსაჯი?

უხვმსაჯიანობაც ამერიკულ ფეხბურთს ახასიათებს. იქ ასე ხდება: არბიტრი, რომელიც წესის დარღვევას ამჩნევს, ყვითელ ალამს აღმართავს. თამაში ჩერდება, მსაჯები ჯგუფდებიან და ალმის ამწევი განმარტავს რა მოხდა და როგორ. ფეხბურთში ეს წარმოუდგენელია, რადგან, როგორც ვთქვით, ამერიკულისგან განსხვავებით ის დინამიკური სახეობაა და მისი წამდაუწუმ შეჩერება არ შეიძლება. არადა, რა ვქნათ, ერთი და იგივე ეპიზოდი ერთმა მსაჯმა სხვანაირად რომ შეაფასოს და მეორემ სხვანაირად?

არის ალტერნატივა: ერთმა მსაჯმა მოედნის ერთ ნახევარზე ირბინოს, მეორემ — მეორეზე, მაგრამ რას მოგვცემს ეს? სირთულე სირთულედვე დარჩება — ის ყურადღებას ფეხებზე გაამახვილებს და კონტაქტი მხრებით იქნება, ბურთი ხარიხიდან ან ხაზს იქით დაეცემა, ან ხაზს აქეთ, ანაც ხაზზე და, ზუსტად ვერავინ იტყვის რა მოხდა, ერთნაირ ვითარებაში ერთი პენალტს დანიშნავს, მეორე არა და განმეორდება ის, რაც პირველ ქვეთავში აღვწერეთ.

გამოსავალი

იდეალური ქვეყნად არაფერია. არც ამ საკითხის იდეალურად მოგვარების გზა არსებობს. ცხადია, შეიძლება ტექნოლოგიათა დახვეწა, თამაშის წესების ცვლა, მსაჯთა ხშირად ისედაც ძალიან მაღალი კვალიფიკაციის კიდევ უფრო ამაღლება და ასე შემდეგ, მაგრამ:

წესების ზედმიწევნითი დაცვით რამდენი პენალტის დანიშვნა შეიძლება ერთი მატჩის განმავლობაში?

განა ყოველი კუთხურის დროს ერთბაშად ორი-სამი თერთმეტმეტრიანი დარტყმა არ უნდა ინიშნებოდეს? ალბათ, იმავ ეპიზოდში იმდენივე ჯარიმა საპირისპირო მიმართულებითაც დაინიშნებოდა გული რომ გულობდეს.

ასე რომ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS

ამოყირავებული ნოემბერი



REUTERS

ფილადელფიელთა ლიდერის ალენ აივერსონის (ბურთით) შეჩერება არცთუ იოლია

მერაბ რატიშვილი

ამ საუკუნის ბოლო 1 ნოემბერს დაიწყო და იმ საუკუნის პირველივე ივნისის შუაწელში სრულდება. ამ ხნის განმავლობაში 29 გუნდი არაერთხელ შეხვდება ერთმანეთს. მრავალი სპექტაკლი დაიდგმება — იქნება ბოლო წამზე ჩაგდებული სამქულიანები და ამით მოგებული მატჩები, ელვის უსწრაფესი დრიბლინგები, ჰაერში თავბრუდამხვევი ბრუნები, ფარის თავზე დამხობები... ეს ყველაფერი კი იმისთვის, რომ ერთი გამარჯვებული გამოვლინდეს — ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის, პლანეტის უძლიერესი საკალათბურთო ლიგის ჩემპიონი.

ნოემბერში ყოველივე ზემონახსენები იყო, ოღონდ იმ დოზით, რამდენიც უნდა ყოფილიყო ჩემპიონატის საწყის, ასე ვთქვათ, გასახურებელ თვეში. მთავარი ამბები წინაა, ჩვენ კი მიმოვიხილოთ ნოემბერი, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ ამოყირავებულ პროგნოზთა თვე.

ზოგადი სურათი ასეთია: სტარტიდან ერთი თვის თავზე დივიზიონთა უმრავლესობის სათავეში გუშინდელი ბოგანოები და „მუდმივად საშუალონი“ გამოჭიმულან, ხოლო ფავორიტები და ელიტარულები ან სადღაც შუაში გაჩხერილან, ანაც მთლად ფსკერის მიდამოებში დაბორიალობენ. სურათი უფრო თვალსაჩინო გახდება, თუკი თითოეულ დივიზიონს ცალ-ცალკე ვესტუმრებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატლანტიკის დივიზიონი

აქ და მთელს ლიგაში ლიდერობს „ფილადელფია 76“, რომელიც თამამად შეიძლება შევრაცხოთ „ნოემბრის გუნდად“. ბოლო წლებში სტაბილურად საშუალომ სეზონი ზედიზედ ათი მოგებით გახსნა, რაც კლუბის რეკორდია. ფილადელფიელებს ოთხი გამარჯვება რომ მიეყოლებინათ, ლიგის ისტორიაში შევიდოდნენ და „ნიუ იორკ ნიქსის“ ოდინდელ მიღწევას გაიმეორებდნენ. არ გამოვიდა, თუმცა „ფილადელფია“ ნოემბერში თორმეტი მოგებული და ორი წაგებული მატჩით უკმაყოფილო არ უნდა იყოს.

„მაიამი ჰითი“ არათუ დივიზიონის ან კონფერენციის, არამედ ჩემპიონატის უპირველეს ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ ნოემბერში წაგება მეტი დაუგროვდა, ვიდრე მოგება (6-9). განთქმულ მწვრთნელ პატ რაილის ასეთი რამ კარიერაში არ დამართნია — მის გაწვრთნილ გუნდებს რაგინდარა ეტაპზე მოგება წაგებაზე მეტი ჰქონდათ. კი მაგრამ, რა არის სეზონთაშორის პერიოდში მნიშვნელოვნად გაძლიერებული „მაიამის“ ჩავარდნის მიზეზი? ალონზო მურნინგის თირკმელი. გუნდის ლიდერს და ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშეს სეზონის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ისეთი დაავადება აღმოაჩნდა, რომელსაც ერთწლიანი მკურნალობა და კალათბურთის გარეშე ყოფნა სჭირდება. დრო — ეს გახლავთ „მაიამის“ წამალი, გუნდის სათამაშო სქემებს ხელახალი დალაგება უნდა.

სეზონთაშორის პერიოდში ყველაზე კარგად „ორლანდო მეჯიქმა“ ივაჭრა და ნარჩევ-ნარჩევი



ვლადიმერ სტეფანია გუნდის ძიებაშია

თავისუფალი აგენტები დაისაკუთრა, მათ შორის გრანტ ჰილი და ტრეისი მაკგრეიდი. რა მოხდა ნოემბერში? „ორლანდომ“ ხუთჯერ მოიგო და თერთმეტჯერ წააგო. რა ხდება გუნდის თავს? ყველაზე მეტად ეს „მეჯიქის“ ხელმძღვანელებს აინტერესებთ, მაგრამ ამ თვეში ამ კითხვის პასუხს ვერ მიაგნეს.

ცენტრალური დივიზიონი

„კლივლენდ კავალიერზის“ დაწინაურება საკვირველია. ჯერ ერთი, რომ მას ორი წელიწადია პლეი ოფი თვალით არ უნახავს. მეორეც, სეზონთაშორის პერიოდში თითქოს უხეირო გარიგება გაჩარხა: გაუშვა ვარსკვლავი შონ კემპი და სანაცვლოდ არაფრით გამორჩეული მოთამაშეები მიიღო. კაცმა არ იცის, რა მოხდება მომავალში, მაგრამ ნოემბერში „კლივლენდი“ გაცილებით შეკრულ-შეთამაშებულად გამოიყურებოდა, ვიდრე კემპიანობისას. სამაგიეროდ, ცხრილის შუაში ჩაეშვა შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი „ინდიანა პეისერზი“, რომლის ახალი მწვრთნელი აიზია ტომასი მრავალი რამის ძიებაშია და, სავარაუდოდ, სეზონის ბოლომდე ასე იქნება.

„ჩიკაგო ბულზი“ — ეს გუნდი ერთდროულად 90-იან წლებში უდავოდ ყველაზე ტიტულიანი, ბოლო ორ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი და ამ ნოემბერში ყველაზე უარესი. „ხარები“ ორად ორი მოგებით ყველაზე ღრმად დაიძირნენ და არც თანადივიზიონელ „ატლანტა ჰოქსს“ (3-13) უთმობენ ლიგაში ბოლო ადგილს.

შუა-დასავლეთის დივიზიონი

ეს დივიზიონი ერთადერთია, სადაც ძველი წეს-წყობილება შენარჩუნებულია. წინ სტოქტონ-მელოუნის „იუტა ჯაზი“ და დანკან-რობინსონის „სან ანტონიო სფურზი“, უკან — „ვეტერანი აუტსაიდერები“, „დენვერ ნაგეთსი“ და „ვანკუვერ გრიზლიზი“. მოყოჩაღებულია „დალას მავერიქსი“, ამჟამად ლიგის ყველაზე თეთრი გუნდი. თუკი ტეხასელები ნოემბრის ტემპს შეინარჩუნებენ (10-6), აუცილებლად შესწვდებიან იმას, რისკენაც დიდხანს ამაოდ ილტვიან. ეს კი პლეი ოფია, სადაც „დალასის“ ადგილი ათი წელიწადი არ ყოფილა.

წყნარი ოკეანის დივიზიონი

ვერავინ იტყვის, „ფინიქს სანზე“ ან „საკრამენტო კინგზი“ ცუდი გუნდებიაო, მაგრამ არც დიდებულნი არიან და, ამდენად, ამ დივიზიონში მათი ლიდერობა მინც ნამეტანია. სხვაგან მათი მოწინავეობა არავის გაუკვირდებოდა, მაგრამ ისიც ვნახოთ, ვინ მოდიან მათ შემდეგ: შარშანდელი სეზონის ორი უძლიერესი გუნდი, რომელთა დაპირისპირება პლეი ოფში „ნაადრევ ფინალად“ მოინათლა. ჩემპიონი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ და დასავლეთ კონფერენციის ფინალისტი „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი“ ჯერჯერობით მხოლოდ კვალში უდგანან ლიდერებს. სავარაუდოდ, ეს დროებითი ამბავია, „ლეიკერსს“ კვლავ ჰყავს შაკილ ონილი, მწვრთნელი ფილ ჯეკსონი და სამართლიანი ამბიციები. თუმცა ისიც ფაქტია: მთელს შარშანდელ სეზონში ჩემპიონმა 15 მატჩი წააგო, ამ ნოემბერში კი უკვე ხუთი.

ნოემბერმა ერთი მწვრთნელი შეიწირა. „სიეტლ სუპერსონიქსის“ მმართველობამ ცხრა მარცხი არ აპატია პოლ ვესტფოლს და გზა დაულოცა. მისი ადგილი ყოფილმა თანაშემწემ, მოთამაშეობისას მუდმივად სიეტლელმა და ამის გამო „მისტერ სონიქსად“ აღიარებულმა ნეიტ მაკმილანმა დაიკავა. ამან თუ მომავალშიც ორი სადებიუტო მატჩივით ათამაშა გუნდი, გამხდარა „სონიქსი“ ჩემპიონი და ეგაა. მაკმილანის დამოძღვრილმა სიეტლელებმა თვის ბოლოს ჯერ „პორტლენდი“ დასცეს სტუმრად, მერე კი „ლეიკერსს“ 35-ქულიანი მარცხი აგემეს.

და სადაა ყოფილი სონიქსელი და ლიგაში ქართველებისთვის ყველაზე საინტერესო და ახლობელი კალათბურთელი? ნოემბერში ვლადიმერ სტეფანია სიეტლში იყო, ოღონდ „სონიქსში“ — არა. ქართველის მოგზაურობა „სიეტლიდან“ „ნიუ იორკ ნიქსში“, იქიდან კი „ტორონტო რეპტორზში“ კარგად ვერ დასრულდა — „ტორონტომ“ იგი დაითხოვა და უგუნდო მოთამაშეთა სიას შეუერთა. ვლადიმერი ევროპისკენ არ იხედება, კვლავ ნბაში თამაშს ლამობს და ვინძლო გაუმართლოს კიდეც.

შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები ჯენიფერ ლოპესი და პაფ დადი ინტერესით უცქერენ, თუ როგორ „მოტეხა“ ლოსანჯელესელმა შაქილ ო'ნილმა იუტელ გრეგ ოსტერტაგს ჯისერი



REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინღა დარჩა?

ერთი კაცი, რომელიც იმალება

ლენოქს ლუისი მსოფლიოს უდავო ჩემპიონად რჩება

„შეიჭმება ტაისონი, ნამდვილია ეს“ — ასე იტყოდა ცხონებული აბრაგი დათა თუთაშხია, 11 ნოემბერს „მენდალი ბეი ჰოტელის“ დარბაზში რომ ყოფილიყო და ლენოქს ლუისი — დავიდ ტუას ბრძოლისთვის ეცქირა.

ირაკლი გამყრელიძე

ბრიტმა ლუისმა დამთვლელ მსაჯთა ერთხმა გადაწყვეტილებით, ქულებით მოიგო თორმეტრაუნდა ბრძოლა, რომელშიაც ნოკდაუნიც არ ყოფილა და რომელმაც იმედი გაუცრუა ლას ვეგასის „მენდალი ბეიში“ თავშეყრილ 12 000 მოსეირეს. გაუცრუა ალბათ იმიტომ, რომ მძიმე წონის მსოფლიოს ჩემპიონის ორი ქამრისთვის (საბჭოსა — WBC და ფედერაციის — IBF, მესამე ლუისს ამერიკულმა სასამართლომ ჩამოართვა და დონ კინგმა ჰაიჰარა ბრძოლაში მოაპოვებინა ევანდერ ჰოლიფილდს) იბრძოდნენ, ერთის მხრივ, გაბრიტებული, კანადაში გაზრდილი იამაიკელი და მეორეს მხრივ, ახალზელანდიური პასპორტის მქონე სამოელი, რომელიც ამერიკაში მოღვაწეობს. ის, რომ ამერიკას პრეტენდენტი არ ჰყოლოდეს ნამდვილ მძიმეწონოსნურ ტიტულზე, მგონი არც არასდროს მომხდარა. თანაც, ლუის-ტუას შერკინება იმთავითვე მოინათლა კარგი ბიჭების ჩხუბად და მისგან სკანდალს არავინ ელოდა, რახან ორივენი წესიერი ადამიანები გახლავან რინგზეც და მის გარეთაც. ბრძოლის წინ ტუამ ლექსიც კი მისწერა ლუისს და იყო ერთი ლაღობა და ღიმილიანი და არა ღვარძლიანი მუქარა.

საჩემპიონო ბრძოლის ერთადერთ ინტრიგად ის რჩებოდა, მოახერხებდა თუ არა მოუღლელი სამოელი ლუისისთვის რეტის დასხმას თავისი გაუთავებელი დარტყმებით და გავიდოდა თუ არა მისი სასიკვდილო იარაღი, მსოფლიოში უძლიერესი ცაცია ჰუკი, რომლითაც ტუას ნოკაუტების უმრავლესობაა გახერხებული.

ეს არ მოხდა და მაყურებელიც, რომელიც, რა თქმა უნდა, სამოელს ქომაგობდა, იმედგაცრუებული დარჩა, თუმცა კრივის დამფასებელი კაცისთვის ეს უექცესო ბრძოლა მაინც საინტერესო უნდა ყოფილიყო.

ლუისი მეორე რაუნდის შემდეგ ჩაერთო, ანუ მას შემდეგ, როცა ტუას ცაცია ჰუკი მოხვდა, თუმც კი ძვრაც ვერ უყო. მეხუთე რაუნდისთვის ცხადი შეიქნა, რომ ტუას ერთადერთი შანსი მისი სანოკაუტო დარტყმა გახლდათ, რომელიც, როგორც მერე გაირკვა სამოელმა ეგრეც ვერ შეასრულა, რადგან ტაქტიკურად ასჯერ ბრძენი ლუისი, რომელიც მთელი თავით მაღალია ტუაზე, თავს შეტევით იცავდა. შეტევას კი საუცხოოდ, ფრთხილად და უსაფრთხოდ წარმართავდა გრძელი ხელებისა და კოხტა გადაადგილების წყალობით.

ჯამში ლუისმა 213 ჯები გაისროლა, ტუამ კი მხოლოდ 51, არადა, პირიქით კი მოელოდნენ. ბოლო რაუნდებში ლუისმა მთლად დაჩაგრა პრეტენდენტი და თვალის უპეებიც დაუსია, ოღონდ კი, თავზე ხელი არ აუღია და ბრძოლა ფრთხილად ჩაათავა.

სადავო იქ არაფერი იყო, ქამრების პატრონი მათ მოცილეს სჯობდა. „ლენოქსი ძალიან კარგი მოკრივეა — აღიარა ტუამ — ეს საამაყო ჩხუბი იყო ჩემთვის“.

ტუა, რომელიც სამოური საბრძოლო ყი-

ლუისის მარჯვენა, მარცხენა და...



ეროვნული ბიბლიოთეკა

გავლახავ? ფიქრობს მაიკ ტაისონი, ლენოქს ლუისი ჯი მორიგ გამარჯვებას ზეიმობს და ტაისონს ელის

ჟინით შევარდა რინგზე, ბრძოლის შემდეგაც არ ჩანდა ნირწამხდარი. ლუისი კი, რომელსაც ყველა ბრძოლაზე გასვლისას თან სდევს საყვარელი რეგის ჰანგები, ჩვეულებისამებრ აუღელვებელი იყო: „ეს კრივია, კრივი კი ომისგან ბევრით არაფრით განსხვავდება. ომში რომ მიდიხარ, ყველანაირი იარაღი მიგაქვს, რადგან ყველაფერი უნდა გამოიყენო. ომს მხოლოდ ცაცია ჭუკით და აქოჩრილი თმით ვერ მოიგებ. მთელი არსენალი გჭირდება. მე ეს არსენალი მაქვს, მოწინააღმდეგეს კი არა. როგორ გაიმარჯვებდა?“

ლუისი რჩება ჩემპიონად და ყველაზე ჭკვიან მებრძოლად დღევანდელ კრივში, მაგრამ არის ერთი კაცი, რომელიც „მენდელეი ბეიში“ არ ჩანდა, მაგრამ ურომლისოდაც ლუისის გამარჯვებათა ნუსხა სრული ვერ იქნება. დიახ, მაიკ ტაისონი ის აღარ არის, რაც უწინ იყო, მაგრამ მისი დამარცხება რომ სრულქმნიდა ლუისის შარავანდედს და მას ყველა დროის მოკრივედ აქცევდა, ლაპარაკი არ უნდა.

...არაჭათგამოცლილი ტუა

და ამიტომ, ისინი იწევენ ერთმანეთისკენ. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანს და დიდი ბრძოლის მოწყობას წინ რთული კომერციული მოლაპარაკებები უდგას. ტაისონი ხომ უკვე გამოცხადებულია საბჭოს (WBC) პირველ პრეტენდენტად, ამ საბჭოს ქამარი კი ლუისს აქვს სახლში.

ტუასთან ბრძოლის წინ, პრესკონფერენციაზე, „მენდალი ბეის“ საპრესკონფერენციო დარბაზში მიეხეტა ტაისონის ნაციხარი ძმაკაცი სტივ რიჩი, მეტსახელად ნიანგი, რომელსაც სულ დამცავი სამხედრო კომბინეზონი აცვია და იმითაა ცნობილი, რომ მაიკის განდიდება და სხვათა დამცრობა გინებით და სკანდალით უყვარს. თუმცა, ლუისმა რიჩი დიდხანს არ აბოგინა, უთხრა: აქ ლომები სხედან, ნიანგები კი ჭაობში ცხოვრობენ და იქ წადიო. თანაც იქვე იჯდა ლუის-ტუას ბრძოლის მომწყობი, განთქმული პრომოუტერი ტედი ატლასი, ოდესღაც ძველი ბიჭი, სახენაიარევი, მრავლისმნახველი ჯენტლმენი, რომელიც იმითიც არის ცნობილი, რომ ერთხელ ბარში ტაისონს შუბლზე რევოლვერი დააბჯინა, რახან ეს უკანასკნელი მეტად ავად აეტორღიალა ერთ გოგოს.

მოკლედ, ტაისონის აჩრდილი „მენდალი ბეიში“ ტრიალებდა და ტუას დამარცხების შემდეგ ლუისსაც აღარ დაუხანებია: „მე ველი ტაისონს. მოვიდეს და შემამოწმოს. ყველამ იცის, საუკეთესო მოკრივე ახლა ლენოქს ლუისია. ვისაც აეჭვებს, მობრძანდეს. 35 წლის ვარ, ღვინოსავით, რაც ვბერდები უკეთესი და უკეთესი ვხდები. მე ველი ტაისონს. სხვა საქმე ახლა აღარ მაქვს“.

ლუისის მენეჯერმა ფრენკ მელოუნმა თქვა, რომ ტაისონ-ლუისის გამართვას წინ რთული პროცესი უძღვის და არავინ იცის, რა დროს მოხერხდება ამ ბრძოლის ჩატარება.

„ალბათ, გაისად. უფრო კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვი, ახლა ლენოქსი დაისვენებს და მოლაპარაკებების შედეგებს დაელოდება“ — თქვა მელოუნმა.

შეიჭმება ტაისონი, ნამდვილია ეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგჯერ ჩიტიც მკვლელია

ავტორბოლა სპორტის ყველაზე ხიფათიან სახეობად ითვლება, ხოლო ფორმულა 1-ის მძღოლობა გამორჩეულად სარისკო ხელობად. საათში 300-კილომეტრით მქროლი ურჩხულების მოთვინიერება მართლაც ურთულესი საქმეა და ყველას არ ანდობენ. საამისო ლიცენზია ანუ ნებართვა მთელს ჰლანეტაზე სულ ორმოცდაათიოდე მძღოლს თუ ექნება.

გია ახალაძე

ლამის თვითმფრინავის სიჩქარით ასპარეზობისას ერთი შეხედვით უმნიშვნელო მიზეზმაც კი შეიძლება ტრაგიკული შედეგი გამოიწვიოს. ასეთთაგან ყველაზე უცნაური და წარმოუდგენელი 26 წლის ალან სტეისის სიკვდილი იყო — 1960 წლის 19 ივნისს ბელგიაში რბოლისას მას სახეში ჩიტი შეასკდა. ბრიტანელმა პილოტმა გრძნობა დაკარგა და გზაპენეულმა „ლოტუსმა“ პატრონს ანდერძი აუგო.

სამეფო რბოლებმა არსებობის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში 36 პილოტის სიცოცხლე შეიწირა უშუალოდ შეჯიბრების, კვალიფიკაციის თუ ახალი ბოლიდების გამოცდის დროს. მათ გარდა რვა ამერიკელი ემსხვერპლა ინდიანაპოლისის 500-მილიან მარათონს, რომელიც 1950-60 წლებში მხოლოდ სიმბოლურად შედიოდა ფორმულის ჩათვლაში. თუმცა, საბედნიეროდ, იმ ქვეყნიდან მობრუნების მაგალითებიც ყოფილა. უპირველესად სამგზის ჩემპიონი ნიკი ლაუდას შემთხვევა უნდა გავიხსენოთ.

1976 წლის 1 აგვისტოს იგი სწორედ რომ მეორედ დაიბადა. ფორმულის ერთ-ერთ სისხლისმსმელ „ნიურბურგრინიგის“ ძველ ტრასაზე ასპარეზობისას ნიკის საჭე გაექცა, „ფერარი“ ჯერ რკინის მარჯვენა მოაჯირს მიენარცხა, მერე საპირისპიროს და წამში ბურბუშელასავით აალდა. ავსტრიელ მრბოლს არაფერი ეშველებოდა, მის მეტოქე-კოლეგებს რომ არ ეყოჩაღათ. არტურო მერცარიომ და ბრეტ ლანგერმა დაშავებული საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად რის ვაივაგლახით ამოიყვანეს მანქანიდან. მას თავპირი და ფილტვები დამწვარი ჰქონდა და ისეთ დღეში იყო, რომ კლინიკაში მღვდელიც კი მიუყვანეს აღსარებისთვის. მაგრამ მოხდა სასწაული და ლაუდამ მოიხედა. უფრო განსაცვიფრებელი კი ის გახლდათ, რომ სულ რაღაც თვენახევრის შემდეგ იგი მორიგი ეტაპის სტარტზე გამოვიდა.

36 შემთხვევაში კი ექიმები უძლურები აღმოჩნდნენ.

ავტოსპორტის თითქმის ასწლიან ისტორიაში ყველაზე საშინელი ტრაგედია 1955 წლის 12 ივნისს საფრანგეთში, ლემანის ავტოდრომზე დატრიალდა, ფორმულაზე ბევრად დაბალსიჩქარიანი პროტოტიპების შეჯიბრებისას. ფრანგი პიერ ლევეგის „მერსედესი“ ერთ-ერთ მანქანასთან შეჯახების მერე ჰაერში აგდებული, ცენტრალურ ტრიბუნაზე დაეცა და ცეცხლი წაეკიდა. ამ საზარელმა შემთხვევამ 80 მაყურებელი და თავად მრბოლიც იმსხვერპლა, კიდევ 120 კაცი კი მძიმედ დაშავდა.

კატასტროფამ მთელი ევროპა შოკში ჩაგდო. საფრანგეთმა, გერმანიამ, შვეიცარიამ და ესპანეთმა იმ წელს თავიანთი დიდი პრიზების გათამაშება გააუქმეს, რის გამოც საფორმულო ჩემპიონატის პროგრამა ექვს რბოლამდე შეიკვეცა. მეტიც, შვეიცარიამ თავის ტერიტორიაზე საერთოდ აკრძალა ავტორბოლები და ეს ტაბუ ჯერაც არ მოხსნილა.

ლემანის უბედურებამდე ორიდე კვირით ადრე სამეფო რბოლების ერთ-ერთი ყველაზე ლეგენდარული პიროვნება, ორგზის ჩემპიონი ალბერტო ასკარი გამოესალმა სიცოცხლეს. 22 მაისს მონაკოს ეტაპზე გამოსვლისას, იტალიელის „ლანჩა“ მოსახვევში მოცურდა, დამცავი ჯებირი გაანგრია და ზღვაში გადაეშვა. საბედნიეროდ, მაშველები სათანადო დონეზე აღმოჩნდნენ და მრბოლი დახრჩობას გადაარჩინეს. ალბერტო, რომელიც წყლიდან პრაქტიკულად უვნებელი ამოიყვანეს (მხოლოდ ცხვირი გაუტყდა), ცხადია, უბედნიერეს ვარსკვლავზე დაბადებულად მონათლეს. თურმე ტყუილად. 37 წლის პილოტი ოთხი დღის შემდეგ ბევრად უწყინარ ვითარებაში, მშობლიურ „მონცაზე“ ახალი „ფერარის“ გამოცდას შეეწირა.

მონტე კარლომ კი თავისი მსხვერპლი მაინც მიიღო. 1967 წელს იტალიელი ლორენცო ბანდინის მართვადაკარგული „ფერარიც“ იმავე ბარიერს მიენარცხა. მანქანა ზღვაში რომ ჩავარდნილიყო, მძღოლი, ალბათ, გადარჩებოდა, მაგრამ უკან გამოსროლილი ბოლიდი რამდენჯერმე ამობრუნდა და კვამლში გაეხვია. მეხანძრეებმა ცეცხლი ვერაფრით ჩააქრეს.

რაც შეეხება „მონცას“, ფორმულის უძველესი და უსწრაფესი ტრასისთვის „მკვლელი“ ტყუილად არ შეურქმევიათ. ასკარის დაღუპვიდან ექვსი წლის შემდეგ თითქმის იმავე ადგილზე სამეფო რბოლების ყველაზე საშინელი ავარია მოხდა. იტალიის დიდი პრიზის გათამაშება ორიოდე წუთის დაწყებული იყო, როცა ჩემპიონატის ლიდერის, გერმანელი ბარონის ვოლფგანგ ფონ ტრიასის „ფერარი“ შოტლანდიელ ჯიმ კლარკის „ლოტუსს“ შეასკდა, მერე კი მაყურებლებში შევარდა. 1961 წლის 10 სექტემბერი ფორმულისთვის ყველაზე სისხლიანი დღეა — ფონ ტრიასთან ერთად კიდევ 14 ადამიანის სიცოცხლე შეწყდა. უბედური ბარონი ისედაც განწირული ყოფილა: იმავე საღამოს შენონის აეროპორტში თვითმფრინავი ჩამოვარდა. სწორედ ამ საბედისწერო რეისზე ჰქონდა მას ბილეთი ნაყიდი.

კიდევ ცხრა წლის შემდეგ, „მონცას“ ურთულეს მოსახვევ „პარაბოლიკაში“ ბეტონის კედელს შეენარცხა იოხენ რინდტის „ლოტუსი“. 28 წლის ავსტრიელი რამდენიმე საათში მილანის კლინიკაში გარდაიცვალა, ერთი თვის თავზე კი მსოფლიოს ჩემპიონად გამოაცხადეს, რადგან ქულათა ისეთი მარაგი დაეგროვებინა, რომ დარჩენილ ოთხ რბოლაში მისი გასწრება ვერავინ შესძლო.

იმოლას ტრასამ ლეგენდარული ბრაზილიელი აირტონ სენა შეიწირა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ და ტრაგიკულ 1982 წლის ჩემპიონატს (კანადელმა ჟილ ვილნევმა ბელგიის, ხოლო იტალიელმა რიკარდო პალეტიმ კანადის ტრასებზე დაასრულეს სიცოცხლე) ფინელი კეკე როსბერგის ნაცვლად ალბათ სხვა ტრიუმფატორი ეყოლებოდა, „ჰოკენხაიმრინგზე“ კვალიფიკაციისას დიდიე პირონის წვიმაში ავარია რომ არ მოსვლოდა. 30 წლის ფრანგი პილოტი ხუთი ეტაპით ადრე დიდი უპირატესობით ლიდერობდა გათამაშებას — როსბერგს 16 ქულით უსწრებდა. ალენ პროსტის „რენოსთან“ შეჯახებისა და სამჯერ ამოყირავების შემდეგ პირონის „ფერარისგან“ თითქმის აღარაფერი დარჩა. შოკში მყოფი მრბოლის ჯართის გროვიდან გამოყვანაზე მარშლებმა 45 წუთი იწვალეს. მას ლამის ერთი მთელი ძვალიც კი არ შერჩა, ექიმები მარჯვენა ფეხის ამპუტირებას უპირებდნენ, მაგრამ ასეთი კოშმარიდან თავი სასწაულებრივად დააღწია, თუმცა ორი წელი საავადმყოფოებს არ მოსცილებია. ორმოცამდე ოპერაციის შემდეგ პირონი, როგორც იქნა, ფეხზე დადგა, მაგრამ ფორმულაში დაბრუნებაზე ოცნებაც ზედმეტი იყო. რაკი უსისწრაფოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინა, საწყალოსნო რბოლებზე გადაერთო. სიცოცხლეც წყალში დაასრულა 1987 წელს. ახლოს გავლილი ტანკერის ტალღაზე შემხტარი „კალიფსო“ ჰაერში ამოტრიალდა, წყალში პირქვე ჩაემხო და ეკიპაჟის სამივე წევრი ქვეშ მოიყოლა.

51 წლის მანძილზე მსოფლიოს ოთხი ჩემპიონია დაღუპული. მათგან ყველაზე სახელოვანი იყო სამგზის გამარჯვებული აირტონ სენა. ლეგენდარული ბრაზილიელის



ნიკი ლაუდა

დიდიე პირონი

სიკვდილის მიზეზი 1994 წლის 1 მაისს იტალიაში, „იმოლაზე“ რბოლისას საჭის ღერძის გატეხვა გახდა. უმართავი „უილიამსი“ 220 კმ/სთ სიჩქარით ეძგერა ბეტონის კედელს. დაჯახების კუთხე კრიტიკული არ ყოფილა — ფატალური შედეგი სხვა ფაქტორმა გამოიწვია. წინა ბორბლის მოტეხილი ღერძი აირტონს თავში მოხვდა, ჩაფხუტი გაგლიჯა და საფეთქელში შეერჭო.

შედარებისთვის: „სილვერსტოუნზე“ მიხაელ შუმახერის შარშანდელი ავარია უფრო საშიში ჩანდა, თუმცა არანაკლები სიჩქარით ტრასიდან გავარდნა გერმანელ პილოტს მხოლოდ ორ ადგილას ფეხის მოტეხვად დაუჯდა. იგი უსაფრთხოების გაუმჯობესებულმა სისტემამ და ძველი საბურავების ოთხრიგა კედელმა გადაარჩინა. „იმალაზე“ იმ ადგილას საბურავების დალაგება კი აზრად არავის მოსვლია.

რვაას ცხენისძალიანი ბოლიდების ფეთიანი ჯიერითი უხიფათო არასდროს იქნება. მაგრამ ბოლო წლებში ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ მძღოლთა დაცვის მიზნით იმდენი ეფექტური ღონისძიება განახორციელა, რომ უბედურ შემთხვევათა ალბათობა მინიმუმამდე დავიდა. შუმახერის გადარჩენაც ამაზე მიანიშნებს. დღეს იღუპებიან მანქანები და არა პილოტები.

სხვადასხვა

ის მოითხოვს

ყოველმხრივ გზამოჭრილი, ალყადარტყმული, მეგობართაგან მიტოვებული, სულ რაღაც ორიოდ თვის წინათ პატივცემული და ლამის მომავალ ეროვნულ გმირად გამოცხადებული კრისტოფ დაუმი ის კაცი არ არის, უკან დაიხიოს. ნარკოტიკებისა და მეძავების სიყვარულში მხილებული, ნარკოტესტების დადებითი შედეგით ხელფეხშეკრული, „ლევერკუზენის“ ყოფილი მწვრთნელი, ასევე ყოფილი მომავალი მწვრთნელი გერმანიის საფეხბურთო ნაკრებისა, აცხადებს, რომ შეთქმულების და ინტრიგების მსხვერპლია.

პოლიციის მიერ გაჩხრეკილია დაუმის სახლი კიოლნში, დალუქულია ოფისი ლევერკუზენში... მაგრამ გიუმაჟი და მშფოთვარე მოღვაწე მაინც თამამად აფრიალებს ახალი, დამოუკიდებელი ნარკოტესტის შედეგებით აჭრელებულ ქაღალდს. ამერიკიდან დაბრუნებული, იქ შემოწმებაგავლილი დაუმი მალე სასამართლოში მივა და კუთვნილს მოითხოვს. ერთი კარგი გუნდის შემქმნელ ამ მწვრთნელს არც თანამდებობათა დაბრუნება სურს და არც ჩინ-მენდლები. ამერიკულმა ტესტებმა მის ორგანიზმში ნარკოტიკების გავლა-გამოვლა არ დაადასტურა და დაუმი ღირსების წახდენისთვის ჩივის. რამდენ მილიონს მოითხოვს და ვისგან, ალბათ მალე შევიტყობთ.

„ჩემი ტაქტიკა წაუგებელია,“ — აცხადებს მწვრთნელი.



ფესტინას თერთმეტტომეული

„ფესტინას" საქმე

1998 წლის 8 ივლისი უკვე ისტორიაა, მაგრამ იმ დღეს აგორებული დოპინგ-სკანდალი დღესაც არ დასრულებულა. მაშინ, „ტურ დე ფრანსის" დაწყებისას ბელგია-საფრანგეთის საზღვარზე მებაჟეებმა ფრანგულ-ანდორული გუნდის „ფესტინას" ბელგიელი მასაჟისტი ვილი ვოე დააკავეს. მას მანქანაში უამრავი აკრძალული ნივთიერება უპოვეს და საქმეც დაიწყო. იმ წელს „ფესტინა" „ტურიდან" მოხსნეს ორგანიზატორებმა, რადგან მის მრბოლებს ორგანიზმში ეპოს და სხვა დოპინგების კვალი აღმოუჩინეს.

გამოძიება ამით არ დასრულებულა. ორი წლის მანძილზე ლილელი გამომძიებელი პატრიკ კეილი თხრიდა, თხრიდა და ამოთხარა, რომ დოპინგის მიღება „ფესტინაში" ორგანიზებული იყო, ეს კი უკვე სისხლის სამართლის საქმეა და სპორტული სასჯელით არ შემოიფარგლება. „ფესტინას" საქმემ" ჯამში 11 ტომი შეადგინა და ამა წლის 23 ოქტომბერს სასამართლო პროცესიც გაიხსნა დანიელ დელეგოვის თავმჯდომარეობით.

მართლმსაჯულების წინაშე ცხრა ადამიანი უნდა წარმდგარიყო, მაგრამ გუნდის ექიმი შეუძლოდ იყო და მას სხვა დროს გაასამართლებენ. სასამართლოზე უამრავი ადამიანი დაიკითხა, ზოგი დოპინგის მიმღებებსა და ორგანიზატორებს ამხელდა, ზოგიც კი ლამის ხატზე იფიცებოდა დოპინგი ველოსპორტის საერთო სენი კი არაა, არამედ მხოლოდ ერთეულები მოიხმარენო. ალბათ, უფრო პირველი ნაწილის ნაუბარი ჰგავდა სიმართლეს. სწორედ ლილში გაისმა რომ ბოლო ათწლეულის „ტურის" გამარჯვებულთან (მიგელ ინდურაინი, ბიარნ რიისი, იან ულრიხი, მარკო პანტანი, ლენს არმსტრონგი) ყველა „ცუღლუტობდა" მეტ-ნაკლებად. თუმცა ქვისგამხეთქი მტკიცებულებები ვერავინ წარმოადგინა.

საბოლოოდ, პროკურორმა ერთადერთი მრბოლი განსასჯელის რიშარ ვირანკის (ფოტოზე) გამართლება, დანარჩენებისთვის კი სხვადასხვა ვადით პირობითი სასჯელი და სხვადასხვა სიდიდის ჯარიმები მოითხოვა.

განაჩენი 22 დეკემბერს, 14 საათზე გამოცხადდება.

ჭადრაკის ახალი ათასწლეული



ბრძენთა თამაშმა ქრისტიანულ წელთაღრიცხვას თვითა და 28 დღით გაუსწრო: ჭადრაკმა ახალ ათასწლეულში 3 ნოემბერს შეაბიჯა, როცა ლონდონის არცთუ უპრესტიჟულეს უბანში ორმა ახალგაზრდა კაცმა 38-ჯერ გამართა ხელი დაფაზე სვლის გასაკეთებლად, მერე კი იმან, რომელიც უფრო ხნიერი იყო, იგივე ხელი მეორეს ჩამოართვა და 200 კაციანი სავსე დარბაზიდან გაფითრებული გავიდა. გასული გარი კასპაროვი იყო, 37 წლის, დედით სომეხი და მამით ებრაელი, ხოლო დარჩენილი ასევე ებრაელი, რუსეთის მოქალაქე ვლადიმირ კრამნიკი, დაბადებული 25 წლის წინათ ქალაქ ტუაფსეში, ძველად ნიკოფსია რომ ერქვა და დავით აღმაშენებლის საქართველოს ჩრდილო-დასავლეთიდან საზღვრავდა. ამით ეპოქა დასრულდა — ისტორიამ მიიბარა ის, რასაც მეოცე საუკუნის ჭადრაკი ერქვა. 21-ე საუკუნეში თამაში სულ სხვანაირი იქნება, ან... საერთოდ არ იქნება, როგორც მრავალი წინასწარმეტყველებს, მაგრამ ეს სხვა თემაა...

იწყებოდა პარტიები და დაფიდან თითქმის მეყსეულად ქრებოდნენ ლაზიერები, აღარსად ჩანდა ფიგურათა ხროვა, რომელთა დამნახავ კასპაროვს ათასჯერ გახსნია „მკვლელის ინსტიქტი" და მრავალი შეუწირავს. პირიქით: ოცდახუთიოდე სვლის შემდეგ დაფა მეტწილად ცარიელდებოდა და ამ სრულიად მოწესრიგებულ გარემოში ბატონობდა ის, ვისთვისაც უფალს კასპაროვისოდენა კომბინაციური ნიჭი არა, მაგრამ პოზიციის ცოტათი უკეთესი ხედვა დაუნათლავს, ანუ კრამნიკი. როცა მან მეათე პარტიაც მოიგო, ყველამ იგრძნო, რომ კასპაროვის გენია ძვრას ვერ უზამდა პრეტენდენტის მშრალი ლოგიკის კედელს. მერეც კასპაროვი იბრძოდა, ორიოდე პარტიის მოგება და მატჩის წაღმა შემობრუნება შეეძლო, მაგრამ მეათეს შემდეგ კრამნიკი წასაგებად ძნელი გასამეტებელი ჩანდა და ჭადრაკის ქალღმერთი კაისა ამას ყველაზე უწინ მიხვდა. შედეგად 8,5:6,5 და ახალი მსოფლიოს ჩემპიონი, აუღიარებელი მთავარი საჭადრაკო ორგანიზაციის, ფიდეს მიერ, მაგრამ იგივე კაცი ჭადრაკისთვის, რაც ლენოქს ლუისი პროფესიულ კრივში. დანარჩენი ნაკლებად მნიშვნელოვანია...





თბილისის დინამო

დგანან: გიორგი შაშიაშვილი, თეიმურაზ გადელია, პაატა ჯინჭარაძე, ირაკლი ვაშაკიძე, თენგიზ სიჭინავა, რევაზ ქემოკლიძე
სხედან: ზაზა ზამთარაძე, დავით დათვაძე, ზაზა ზირაქიშვილი, არჩილ სახვაძე, იოსებ გრიშიკაშვილი